საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვერი სიტყვაა, ტყუილებით და ჯორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 4 ივლისი. 2017 წ. №132 (8269), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მუსიკალური აურზაური ქართულ პოლიციაში

④

„ჩადება-დაკავების“ კვალდაკვალ

ბუკიკიომ დაგვიბარა:

„მოილაპარაკეთ ან... კისერიც გიტეხიათო!“

③

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმეზე გამოტანილ განაჩენზე პროკურატურის განცხადება

②

გამომგონებელ ვასილ ჩხიკვაძის ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

⑦

შავლეგ შილაკაძე – ქართველი შემსრულებლები, უპირველესად, ქართული მუსიკის პოპულარიზატორები უნდა იყვნენ

⑥

რეზო ამაშუკელი: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ნინო ხოფერიას

⑤

გივი მარგველაშვილი – თხემით ტერფამდე თბილისელი

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით გორში, ქარელსა და ხაშურში ოკუპაციის მუზეუმები გაიხსნება

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა და საგარეო ურთიერთობათა მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ გუშინ ქვემო ქართლში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტები შეაჯამეს.

გიორგი აბაშიშვილი კასპის ოკუპაციის მუზეუმში, დასრულებული პროექტის „არა ოკუპაციას“ მონაწილეებს შეხვდა, რომელზეც ოკუპაციის შედეგებზე, საინფორმაციო ომზე, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე და ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობებზე ისაუბრა.

პროექტი ორგანიზაციამ „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“ განახორციელა, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში ოკუპაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე საჯარო დისკუსიებს მართავდა.

პროექტის შეჯამებისას გიორგი აბაშიშვილი ინიციატივით გამოვიდა, რომ შიდა ქართლის სამ რაიონში – გორში, ქარელსა და ხაშურში ოკუპაციის მუზეუმები გახსნას.

„ჩვენ შევთავაზეთ კასპის ოკუპაციის მუზეუმს, როგორც წარმატების მაგალითს, რომ ოკუპაციის გასწვრივ საქართველოს ქალაქებში პირველ ეტაპზე შიდა ქართლის ქალაქებში, გაგვეკეთებინა მსგავსი ტიპის მუზეუმები.

ეს კიდევ ერთხელ ძალიან თვალნათლივ აჩვენებს ჩვენს ახალგაზრდებს იმ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით და მნიშვნელოვანია, რომ ოკუპაციის შეფასება დავიწყოთ სწორად და დავიწყოთ საბჭოთა პერიოდიდან“, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

დღესვე გიორგი აბაშიშვილი და თენგიზ ფხალაძე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ზემო ნიქოზშიც იმყოფებოდნენ, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით კიდევ ერთი პროექტი „აგროკლუბი“ ხორციელდება.

„აგროკლუბი“, რომლის მიზანიც ფერმერთა ხელშეწყობა, ინფორმირება და ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანერგვაა, პრეზიდენტის ფონდისა და ჩეხეთის საელჩოს მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხანძრისგან დაზარალებულებს ეხმარება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური მზადაა, დახმარება გაუწიოს 2 ივლისს, ე.წ. ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულ მეწარმეებს, ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

დაზარალებული მეწარმეების იდენტიფიცირების მიზნით, ბაზრობის ადმინისტრაციასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები. დაზარალებული პირების იდენტიფიცირების შემდეგ, ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების

ჩამოწერის დადასტურება შემოსავლების სამსახურის მიერ, განხორციელდება ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით და შესაბამისად, დაზარალებულ პირებს განადგურებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, არ წარმოეშვებათ საგადასახადო ვალდებულებები.

ელიავას ბაზრობაზე საქონლისა და მაღაზიების დიდი ნაწილი გადარჩენილია!

ელიავას ბაზრობაზე საქონლისა და მაღაზიების დიდი ნაწილი გადარჩენილია, – ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„ძალიან კარგად იმუშავეს სახანძრო და სამაშველო სამსახურებმა, რადგან საკმაოდ ინტენსიური ხანძარი იყო. ჩვენი დღევანდელი გეგმაა, შიგნით მოხდეს მდგომარეობის სრული აღწერა, თუ რა არის გადარჩენილი და რა არის დაზიანებული. ამ აღწერის შემდეგ ჩვენ გვინდა შევხვდეთ მეპატრონეებს და მათთან ერთად დავგეგმავთ შემდეგ ნაბიჯებს. რაც მთავარია, შიგნით საკმაოდ ბევრი საქონელი არის გადარჩენილი. ორი მაღაზია არის გადარჩენილი. ეს საქონელი და მაღაზიები გადარჩნენ იმის გამო, რომ ისინი კაპიტალურად შუშებში არის მოწყობილი“, – განაცხადა თბილისის ვიცე-მერმა .

უზნეობად მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსები ტრაგედიის დროს იწყებენ პოლიტიკური დივიდენდების შეგროვებას

უზნეობად მიმაჩნია, როდესაც პოლიტიკოსები ტრაგედიის დროს იწყებენ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას, – ეს განცხადება, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გააკეთა. მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გუშინ ხანძრის დროს პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა. ბესელია ამბობს, რომ პოლიტიკა არ შეიძლება იყოს დაცლილი მორალური მხარისგან. ბესელია ამბობს, რომ ელიავას ბაზრობაზე ხანძართან დაკავშირებით ყველა კითხვას პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს.

ნიკოლოზ სირაძე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელია

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა.

აღნიშნულ თანამდებობაზე მინისტრმა პოლიციის პოლკოვნიკი ნიკოლოზ სირაძე წარუდგინა.

შს მინისტრმა ნიკოლოზ სირაძეს თანამდებობაზე დანიშვნა მიუსურვა, მასთან სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და დავალებები მისცა.

ნიკოლოზ სირაძეს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სააგენტოს ახალი დირექტორის წარდგენისას შს მინისტრმა მეხანძრე-მაშველებს თავდადებისა და კეთილსინდისიერი მუშაობისთვის, ე.წ. ელიავას ბაზრობაზე გაჩენილ ხანძარზე ოპერატიული და მაღალპროფესიონალური რეაგირებისთვის მადლობა გადაუხადა.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად ლევან ზაუტაშვილი დაინიშნა

მთავრობის განკარგულებით, მცხეთა-მთიანეთის ახალი გუბერნატორი მუშაობას ოფიციალურად უკვე შეუდგა. ზაუტაშვილს დამთავრებული აქვს ინდიანაპოლისის შტატის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

2013-2017 წლებში იყო „კასტელ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი, ამასთანავე, მუშაობდა მსოფლიო ბანკის პროექტებში.

15 აგვისტოდან ხმაური იკრძალება

თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის თედო კობახიძის განცხადებით, ხმაურის აკრძალვის შესახებ კანონი ძალაში 15 აგვისტოს შევა, პირველ აგვისტომდე კი მთავრობამ ტექნიკური რეგლამენტი უნდა მოამზადოს, რომელიც დეციბელების დასაშვებ ზღვარს დაადგენს.

მისი თქმით, კანონდარღვევა ხმაურმზომით განისაზღვრება, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი დაჯარიმდებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

ორშაბათიდან ეროვნული გამოცდები დაიწყო. აბიტურიენტებმა ქვეყნის მასშტაბით არსებულ 22-ვე საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია უკვე გაიარეს. აბიტურიენტები პირველ გამოცდას, როგორც ყოველთვის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარებენ. ერთიან ეროვნულ გამოცდას წელს 39 ათასზე მეტი აბიტურიენტი აბარებს.

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მაია მიმინოშვილის განცხადებით, თავდაპირველად დარეგისტრირებული იყო 41 500 აბიტურიენტი, თუმცა, იმის გამო, რომ მათმა ნაწილმა საატესტატო გამოცდების ზღვარი ვერ გადალახა, ისინი ეროვნულ გამოცდებზე ვერ მოხვდნენ. რეგისტრაციის

პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. ამ დროისთვის მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა. წლევანდელ გამოცდებში მონაწილეობას 18 მსჯავრდებული აბიტურიენტიც იღებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილის განცხადებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველ ნაკადში აბიტურიენტთა 3% არ გამოცხადდა. მიმინოშვილის ინფორმაციით, საგამოცდო პროცესს ხუთი აბიტურიენტი დაგვიანების გამო გამოეთიშა. ორი თელავში, ორი თბილისში და ერთი ბათუმში.

შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან 23.3 პროცენტით გაიზარდა

2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 434.6 მილიონ დოლარს (ზრდა +23.3%), რაც 82 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2016 წლის ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 2.2მილიარდ (2,166,334,169) დოლარს (ზრდა +11.9%), რაც 230 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შეადგენს 6.8%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +0.8%-ია. 2016 წლის ჯამური მონაცემებით კი წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 7.1% შეადგინა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +11.8%. 2017 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 786,282 ათასი ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +33.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2016 წლის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1,624,808 ათასი ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +11.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმეზე გამოტანილ განაჩენზე პროკურატურის განცხადება

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმეზე გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით პროკურატურა განცხადებას ავრცელებს:

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ვ.ლ.-ს ორგანიზებითა და დავალებით, ამავე დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლები მაკომპრომატირებელი მასალის შეგროვების მიზნით, ახდენდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების უკანონო თვალთვალს და მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვებას.

სასამართლოში საქმის მრავალთვიანი განხილვის მანძილზე, დაიკითხა ბრალდების ასამდე მოწმე, გამოკვლეული იქნა 11 ტომი წერილობითი მტკიცებულებები, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნები. მოსამართლემ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ბრალდებულები: ვ.ლ., რ.შ., ი.ყ., დ.თ., გ.კ. დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და ვ.ლ.-ს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ამნისტიის შესახებ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირა 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ი.ყ.-ს 5 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რაც „ამნისტიის კანონის“ საფუძველზე შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა ამნისტიის კანონის გამოყენებით კიდევ ერთ ბრალდებულს რ.შ.-ს. მსჯავრდებულები ი.ყ. და რ.შ. პატიმრობაში სასამართლო სხდომის დარბაზიდან იქნენ აყვანილი.

რაც შეეხება მსჯავრდებულებს გ.კ.-ს და დ.თ.-ს, რომლებიც დღემდე თავს არიდებენ მართლმსაჯულებას და იმყოფებიან მიმალვაში, სასამართლომ მათ ჩადენილი ქმედებისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა და ამნისტიის კანონის გამოყენებით, საბოლოოდ 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

ამავე განაჩენით სასამართლომ ბრალდებული გ.შ. წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ბრალდების მხარე, სასამართლოს განაჩენს გ.შ.-ს გამამართლებელ ნაწილში დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდგომ სააპელაციო წესით გაასაჩივრებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო დარბაზში დააკავეს

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების მოპოვება-შენახვაში ბრალდებული, კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო დარბაზში გუშინ დააკავეს. მოსამართლემ საქმეზე ბრალდებული 6 პირიდან მხოლოდ გიგლა შიოშვილი გაამართლა.

დარბაზში დააკავეს ბრალდებულები რევაზ შიუკაშვილი და ირაკლი ყიფშიძე. საქმეზე ბრალდებული ერთი პირი კი უკვე პატიმრობაში იმყოფება, კიდევ ორი ბრალდებული კი ძებნაშია.

ბუკიკიომ დაგვიბარა: „მოილაპარაკეთ ან... კისერიც გიტეხიათო!“

ხელისუფლება ამ საკითხში არანაირ დათმობაზე არ წავა, უფრო ბუკიკიოს „დაიკიდებს“, ხოლო თვით ჯანი ბუკიკიო და მის ზურგს უკან მდგომი ევროპული ისტებლიშმენტი ახალ-ახალ მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებენ, რაკი მსოფლიოში და ჩვენს რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების ფონზე საქართველოში დესტაბილიზაცია ხელს არ აძლევთ.

მომავალი მუნიციპალური არჩევნები „კონსტიტუციური დაპირისპირების“ ფონზე ჩაივლის. „ვენეციის კომისიის“ პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს უმწვავესმა განცხადებებმა შესაბამისი ფონი უკვე შექმნა და როგორც არ უნდა დასრულდეს მთელი ეს ისტორია, ხსენებული ფონი უცვლელი დარჩება.

საქართველოს ყველა ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძით დაწყებული, — როცა „ვენეციის კომისიის“ დასკვნები არ მოსწონდათ კონსტიტუციაზე ან კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მუდამ ხაზს უსვამდა: კომისიის დასკვნა და რჩევები „მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა“.

კი, ნამდვილად ასეა; მაგრამ ამ ლოგიკით „სარეკომენდაციოა“ თვით „ევროპის საბჭოს“ ნებისმიერი გადაწყვეტილებაც და, ბუნებრივია, იურიდიული ძალა მათაც არა აქვთ. მაგრამ ევროსაბჭოს „ვენეციის კომისია“ ძალიან მაღალი ავტორიტეტის ორგანოა და, რაც მთავარია, მის დასკვნებს მუდამ აქცევენ ყურადღებას, ყოველთვის ითვალისწინებენ დასავლური სახელმწიფოები, — ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ კონკრეტული პოლიტიკის გამომუშავებისას. ეს კი „რეკომენდაციებს“ სცილდება, რადგან პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ფინანსური დახმარების გამოყოფაზეა საუბარი. სწორედ ამიტომ, უკლებლივ ყველა წინა ხელისუფლება ძალიან ცდილობდა, „ვენეციის კომისია“ და მისი მრავალწლიანი პრეზიდენტი, ზეავტორიტეტული ჯანი ბუკიკიო არ გაებრაზებინა.

ბუკიკიოს ბოლო გამონათქვამები ყველასთვის ცნობილია. ბუნებრივია, ისინი პასუხგაუცემელი ვერ დარჩებოდა: პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თქვა, რომ ვერ მიიღებს კრიტიკას იმათი მხრიდან, ვინც „მწვანე შუქი აუნთო 2010 წლის ანტიდემოკრატიულ საკონსტიტუციო ცვლილებებს“.

რა თქმა უნდა, პრემიერი არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ორივე განაყოფს გულისხმობდა, არამედ თვით ჯანი ბუკიკიოსაც, ვინაიდან ეს კონსტიტუციონალისტი იმ დროსაც კომისიის თავკაცი იყო, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თუ ჟარგონით ვიტყვით, „სტოპირიოდი დაიჭირა“ და კონსტიტუცია შეცვალა, რათა 2013 წლის შემდეგ, „ორვადიანი“ პრეზიდენტობის ნაცვლად, „უვადო“ პრემიერის პოსტზე გადაეწეცვლა.

რეალურად, ის, რაც „2010 წლის კონსტიტუციით“ შეიქმნა, იყო არა საპარლამენტო რესპუბლიკა, არამედ იგივე საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ოღონდ თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე სუბიექტს ერქვა არა „პრეზიდენტი“, არამედ „პრემიერ-მინისტრი“. სხვა არაფერი იცვლებოდა.

მერედა, განა ბუკიკიო ამას ვერ ხედავდა და ვერ ხვდებოდა? კი, ნამდვილად ხედავდა, ხვდებოდა და ... აკრიტიკებდა კიდეც!

* * *

სრული გაუგებრობა ან უსამართლობაა ჯანი ბუკიკიოსთვის იმის დაბრალება, თითქოს მან „სააკაშვილის საკონსტიტუციო პროექტი არ გააკრიტიკა“. არადა, თუ „კომისიის“ მაშინდელ დოკუმენტს გადავხედავთ, ზუსტად იმავე ტონალობაში, დაახლოებით ასეთივე არგუმენტაციით გადმოცემული კრიტიკაა, რაც ახლა.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 2010 წელს ქართულ ტელემედიაში არ იყო (რბილად თუ ვიტყვით) ისეთი ვითარება, „ვენეციის კომისიის“ ან მისი პრეზიდენტის კრიტიკა იმგვარად „გაპიარებული“ როგორც ახლა.

ეს ერთი; და მეორეც: მიშა ძალიან ეშმაკურად მოიქცა — მან ჯანი ბუკიკიო დააჯილდოვა თავის სასახლეში და ამით შექმნა შთაბეჭდილება (!) თითქოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს უჭერდა.

ეს იყო ძალიან ჭკვიანური, ეშმაკური ნაბიჯი „შევარდნაძის სტილში“: რა უნდა ექნა ბუკიკიოს? უარი ეთქვა პრეზიდენტისგან ორდენის მიღებაზე იმის გამო, რომ იგი მის შენიშვნებს არ ითვალისწინებდა? მაგრამ ჯერ ერთი, მიხეილ სააკაშვილი ევროპაში არ იყო აღქმული და გამოცხადებული „კავკასიელ სადამ ჰუსეინად“, ანუ ამგვარი ნაბიჯი „ევროპულ მეინსტრიმს“ ეწინააღმდეგებოდა. მით უმეტეს 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ.

გარდა ამისა, ბუკიკიო მენტალობით და აღზრდით ევროპელია, ევროპული კულტურა კი „მოვე-ტონად“ მიიჩნევს პირდაპირ კორელაციას „ცერემონიასა“ და „შინაარსს“ შორის! ანუ ის, რომ სააკაშვილმა ბუკიკიო დააჯილდოვა, ვერანაირად ვერ აისახებოდა ჯანი ბუკიკიოს დამოკიდებულებაზე 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების მიმართ: ბუკიკიო როგორი კრიტიკულიც იყო მანამდე, ასევე კრიტიკული დარჩებოდა, ასი ორდენიც რომ ჩამოეკიდა მისთვის მკერდზე მიშას!

ოღონდ სააკაშვილს ის კი არ აღელვებდა, ბუკიკიო როგორ გააკრიტიკებდა მის საკონსტიტუციო ცვლილებებს, არამედ ის, თუ „დახშული საინფორმაციო ველის“ საქართველოში როგორ იქნებოდა აღქმული ეს „დაჯილდოება“. ქართული აღქმა კი ერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ასეც იყო მოსალოდნელი: „რაკი ბუკიკიომ ორდენი მიიღო პრეზიდენტისგან, მაშასადამე, „გაუპრავა“ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები და რაკი ევროპამ „გაუპრავა“.... ახლა მიტინგების მოწყობას რაღა აზრი აქვს?“.

პრეზიდენტის მახვილგონივრული გათვლა ძალიან ზუსტი გამოდგა.

* * *

რაც შეეხება ჯანი ბუკიკიოს ბოლო განცხადებების შედეგად წარმოშობილ პოლიტიკურ ვითარებას: რაკი ეს განცხადებები „გაპიარდა“, ახალი კონსტიტუცია, პოლიტიკური ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, უკვე „ფეთქებადია“, ანუ ოპოზიციას შეუძლია თქვას (შემოდგომაზე), რომ არჩევნები გაყალბდა და არჩევნები გაყალბა ზუსტად იმ ხელისუფლებამ, რომლის გადაკეთებულ კონსტიტუციას ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა „არალეგიტიმური“ უწოდა.

„მთლად ასე არ უთქვამს“? კი, ზუსტად ამ „უორდინგით“ არ უთქვამს, ოღონდ სხვანაირად თქვა, მაგრამ შინაარსი მართლა ეს იყო: თუ ტექსტი ასეთად დარჩა, როგორიც არის, მისი ლეგიტიმურობა ეჭვს იწვევს. და რაკი ეჭვს იწვევს, მაშინ ოპოზიციის მცდელობა, შემოდგომაზე მოაწყოს ახალი რევოლუცია, ძალიან ძლიერი არგუმენტით მყარდება: თუ ახალი კონსტიტუცია, „ევროპის აზრით“ (!) არალეგიტიმურია, მაშინ, ოპოზიცია ლეგიტიმურად გამოაცხადებს ნებისმიერ ნაბიჯს და აქციებს — „არალეგიტიმური ხელისუფლების“ წინააღმდეგ!

აქედან ურყევი დასკვნა გამომდინარეობს: მთავარი საკითხი უკვე ის კი არ არის, ექნება თუ არა „სათქმელი“ მიშასა და მის გუნდს მორიგი რევოლუციის ასაგორებლად ადგილობრივი არჩევნების გაყალბების მოტივით (ბუკიკიოს განცხადებები ძალიან სერიოზული „სათქმელია“), არამედ ის, ეყოფათ თუ არა შესაბამისი რესურსი, ძალა, შესაძლებლობა, პასიონარულ (ესე იგი ქუჩაში გამომსვლელ და „შემვარდნ“) მომხრეთა რაოდენობა!

რა შეუძლია მოიმოქმედოს ხელისუფლებამ თუნდაც ამ საშიში და სარისკო „სათქმელის“ გასაბათილებლად? არაფერი! თეორიულად შესაძლებელია კონსტიტუცია შემოდგომაზევე დაუბრუნდეს მეორე მოსმენით პარლამენტს და მასში შევიდეს მოთხოვნილი ცვლილებები; ესე იგი, მმართველმა პარტიამ „დაიკიდოს“ მაჟორიტართა პოზიცია და ახლავე გააუქმოს მაჟორიტარული არჩევნები; მაგრამ ეს არც გამოვა და კიდევ უფრო დიდი რისკიცაა...

ან დაელოდოს პრეზიდენტის ვეტოს შემოდგომაზე და საკონსტიტუციო პროცესი დაიწყოს თავიდან.

ოღონდ, მაჟორიტართა პოზიციასაც რომ თავი დავანებოთ, ეს იქნება ოპოზიციასთან მთელი ქვეყნის თვალწინ „ჩახდა“, ესე იგი ხელისუფლების საჯარო კაპიტულაცია, რის შედეგადაც „ოცნება“ აუცილებლად წააგებს იმავე ადგილობრივ არჩევნებს თბილისშიც კი, რადგან ქართველ ამომრჩეველს არ უყვარს დამარცხებულები... ე.წ. „შუაშისტებს“ კი შეექმნებათ შთაბეჭდილება: ბიძინა საბოლოოდ მიდის, მიშა ბრუნდება და... „ვინც ბრუნდება გაუმარჯოს!“

ასეთია „შუაშიზმის ფილოსოფია“ საქართველოში.

ამიტომ ხელისუფლება ამ საკითხში არანაირ დათმობაზე არ წავა, უფრო ბუკიკიოს „დაიკიდებს“, ხოლო თვით ჯანი ბუკიკიო და მის ზურგს უკან მდგომი ევროპული ისტებლიშმენტი ახალ-ახალ მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებენ, რაკი მსოფლიოში და ჩვენს რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების ფონზე საქართველოში დესტაბილიზაცია ხელს არ აძლევთ.

ნიკა იმნაიშვილი

„ქართველთა მარში“ და მოსალოდნელი პროვოკაცია?

მოძრაობა „ეროვნულების“ თავმჯდომარე სანდრო ბრეგაძე 14 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე ფართომასშტაბიან აქციას აანონსებს. აქციას „ქართველთა მარში“ ერქმევა. აქციის მონაწილეების მოთხოვნა საემიგრაციო კანონის გამკაცრება, არალეგალი არაბი და ირანელი მოქალაქეების ქვეყნიდან დეპორტაცია და მათ მიერ საქართველოში გახსნილი იმ კლუბების დახურვაა, სადაც ბრეგაძის თქმით, ბავშვთა პროსტიტუციას აქვს ადგილი.

ბრეგაძე პრემიერს თავის განცხადებას ახსენებს, რომლის მიხედვითაც, უნდა დახურულიყო ყველა კლუბი, სადაც ადგილი აქვს პროსტიტუციას და მითუმეტეს მცირეწლოვანთა სხეულით ვაჭრობას.

ეს აქცია არ იქნება ძალადობრივი, იქნება მშვიდობიანი მარში, რომელიც დააყენებს მოთხოვნებს და ვიბრძოლებთ, მოთხოვნები იყოს შესრულებული“ — ამბობს სანდრო ბრეგაძე „პირველ რადიოსთან“.

მისი თქმით, მას აქვს ინფორმაცია, რომ იგეგმება ამ აქციის დარბევა. ბრეგაძე „პირველ რადიოსთან“ ამბობს, რომ ლაზებმა მიაწოდეს ინფორმაცია სირიის ერთ-ერთ მოქალაქე ვინმე აბდულაზე, რომელიც აღმაშენებლის გამზირზე ერთ-ერთი ბარის მფლობელია. ბრეგაძე ამბობს, რომ ეს პირი ორგანიზებას უკეთებს დაჯგუფებას და „ქართველთა მარშს“ დაარბევენ. შს სამინისტრო პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ჯერ დაგეგმილი აქციის შესახებ შეტყობინება არ არის შემოსული.

თბილისის მერიამ მიკროავტობუსებში კონდიცირების მონიტორინგი დაიწყო

თბილისის მერის დავალებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მობილურმა ჯგუფებმა მიკროავტობუსებში კონდიცირების მონიტორინგის მიზნით, უკვე 35 მარშრუტი შეამოწმეს.

მერიის ინფორმაციით, ამ ეტაპზე გამოვლენილია, რომ გაგრილების სისტემები ჩართულია მიკროავტობუსების 20 პროცენტში. მერიის მონიტორინგის ჯგუფები კომპანიას რეაგირებისათვის გადასცემენ იმ მიკროავტობუსების სიას, რომლებსაც მგზავრების გადაყვანისას კონდიციონერები გამორთული ექნებათ. კომპანია თბილისის მერიასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს.

მუსიკალური აურზაური ქართულ პოლიციაში

საქართველოში კიდევ დიდხანს არ გათენდება?!

მსოფლიოს ყველა პოლიციელმა (როგორც ჩვენი ამერიკელი მეგობრები ბრძანებენ, კაცობრიობის ამ ყველაზე გარყვნილმა ნაწილმა) შესანიშნავად იცის, რომ თუ ჩიტი ბრდღვნად არ ღირს, მის დევნას აზრი არა აქვს. ამით იმის თქმა მინდა, რომ პოლიცია რეპერებს დააკავებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯიბეში მართლაც ჰქონდათ ნარკოტიკული ნივთიერება; ან პოლიციელებმა ზუსტად იცოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ არა ღატაკ მუსიკოსებთან, არამედ მდიდარი მშობლების გაზულუქებულ შვილებთან.

ნებას მიბოძეთ, ქართული პოლიციისა და, საერთოდ, ქართული სამართალდამცავი ორგანოების წინაშე ვაღიარო (მერე, როგორ უყვართ აღიარება!): ჩემდა და ქართული ჟურნალისტიკის სამარცხვინოდ, არ მაქვს არავითარი მუსიკალური განათლება; არ გამოვირჩევი მუსიკალური ნიჭით; არ მიმაჩნია რეპი მუსიკად, კახუჩელა – მომღერლად, პროკურორი – უბიწოდ და უდუმაშვილი – ჟურნალისტად.

თუმცა, ყოველივე ეს ხელს არ მიშლის, ვიცოდე და თქვენც გითხრათ, რომ თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული მუსიკალური ჟანრი ჰიპ-ჰოპი (Hip hop), იგივე რეპი გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს ნიუ-იორკის ბრონქსის რაიონში წარმოიშვა და „დუმუხ“-შავგვრემანი (ადრე ზანგებს რომ ეძახდნენ!) იამაიკელი ემიგრანტების სახელს უკავშირდება.

სპეციალისტების აზრით, რეპის პოპულარობა დაკავშირებულია მის აგრესიულ სატეკვაო რიტმთან და შესრულების სიიოლესთან; რომ მასაც ჰყავს თავისი „კლასიკოსები“ – შავი პრინცი, ემინემი და კახუჩელა... იმასაც ვაღიარებ, რომ რეპის პოპულარობა მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება და ამას საქართველოში ძალიან უწყობს ხელს ამ მუსიკალური ჟანრით მართლაც სიმპათიური და კოლორიტული ბიჭის ბერა ივანიშვილის გატაცება...

ახალი და გაუგონარი არაფერი მომხდარა – სახელოვანმა ქართულმა პოლიციამ თბილისში, ტრადიციისამებრ, ორი ახალგაზრდა დააპატიმრა, „პოლიციის განყოფილებაში წარმოადგინა“ და მეტი დამაჯერებლობისათვის ჯიბეში დიდი ოდენობით ნარკოტიკიც „აღმოუჩინა“. ბიჭების მიერ მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, ეს იყო შურისძიება მათი მუსიკალური კლიპის გამო, სადაც ჩვენი საამაყო და ყოვლად უმწიკვლო პოლიცია უდიერად იყო მოხსენიებული.

ამ ინციდენტამდე დამწყებ მუსიკოსებს მხოლოდ უახლოესი გარემოცვა თუ იცნობდა. ინციდენტის შემდეგ კი...

შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, ძმები გრიმების ზღაპრული ფანტაზიაც რომ ვერ შეწვდებოდა – მანამდე უცნობი და არაფრით გამორჩეული თვითმარქვია მუსიკოსები ერთბაშად ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ადამიანებად იქცნენ; ახალგაზრდობის ინიციატივით აგორდა უზარმაზარი ანტიპოლიციური საპროტესტო ტალღა; საქმეში ჩაერივნენ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები და პოლიტიკური ფიგურები; სასწრაფოდ გაათავისუფლეს დაპატიმრებულები; დაიწყო გამოძიება ნარკოტიკების შესაძლო „ჩადების“ ფაქტზე; დაჩქარდა ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის პროცესი უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე...

მივაგოთ კეისარს კეისრისა – პოლიციამ უცნობ რეპერებს გაუკეთა საძმე, რასაც მათ საძართველოს ყველა სარეკლამო სააგენტო ერთად ვერასოდეს ვერ გაუკეთებდა. და რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ძართული პოლიციის მორიგმა წინდაუხედავმა ნაბიჯმა საძართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თვალი აუხილა, ხოლო ძართველ საზოგადოებას უნებლიეთ ბევრი სარგებელი მოუტანა.

აქ შეგვეძლო ტაში დაგვეკრა და ფარდაც დაგვეხურა, მაგრამ საქმე მთლად ასე უბრალოდ არ უნდა იყოს.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობა საბჭოთა კომუნისტურ პრესაში (არასაბჭოთა და არაკომუნისტური პრესა მაშინ არ არსებობდა!) სწორედ ანტიმილიციური მოღვაწეობით დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებული მაქვს დოკუმენტურ მონაცემებზე დაფუძნებული მრავალი ათეული ანალიტიკური სტატია. ზოგადი ხასიათისაც და კონკრეტულ შემთხვევებზეც, სადაც მილიცია-პოლიციის, საერთოდ, ძალოვანი უწყების, უკლებლივ ყველა სტრუქტურისა და რანგის ჩინები, ვინაობისა და თანამდებობრივი მდგომარეობის მითითებით, შესაბამისი მტკიცებულებების მოშველიებით, მოხსენიებული არიან უვიცებად, მკვლელებად, მექრთამეებად, დამნაშავეთა მფარველებად...

მოდი, იმ ძველი წერილებიდან რამდენიმე შედარებით უმტკივნეულო ციტატა ვნახოთ. ისინი სპეციალურად არ მიძებნია – გასაგები მიზეზების გამო, უბრალოდ, ისეთები შევარჩიე, სადაც კონკრეტული გვარები მითითებული არ არის.

„...ძალიან მიჭირს დაჯერება, საქართველოს პოლიციის ხელმძღვანელობამ არ იცოდეს, რომ მათი ასეულობით თანამშრომელი საქართველოს საავტომობილო ტრასებზე (და არა მხოლოდ სასაზღვრო ზონებში) ნამდვილ შარაგზის ყაჩაღობას ეწევიან;

...ოპერაციის შემდეგ ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც ბანდიტური ჯგუფის წევრებმა მძევალი მოკლეს, მათთან მოლაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა, ისინი უნდა დაეხოცათ და დახოცეს კიდეცო... სახელმწიფოს მეთაურის მოადგილის ეს განცხადება არაპროფესიონალიზმისა და გულუბრყვილობის დასტურია... იმ ოპერაციის მომზადება და ჩატარება პოლიციურ საქმეებში გამოჯეკილი ვინმე უბრალო კაპიტნისთვის რომ მიენდოთ, ყველაფერი გაცილებით უხმაუროდ და უმტკივნეულოდ ჩავილიდა“.15. 03. 1993 წ. „მიეცით კაპიტანს კაპიტნისა“.

„რას აკეთებს საგზაო პოლიცია? – პასუხი ამ არცთუ რიტორიკულ კითხვაზე სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან სხვადასხვა იქნება. მაგრამ ყველაზე სწორი ის აღმოჩნდება, ვინც გაბედავს და ხმამაღლა იტყვის – საგზაო პოლიცია აკეთებს ფულს! თუ უფრო დავაკონკრეტებთ – საგზაო პოლიცია დღისით-მზისით (ღამით - მით უფრო!) ძარცვავს თავისი ქვეყნის მოქალაქეებს. რა თქმა უნდა, არც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ინდობს!“ 09. 04. 1994 წ. „რას აკეთებს საგზაო პოლიცია?“

„...დგას ქუჩაში მათხოვრობისთვის განწირული პოლიციელის ფორმიანი კაცი, რომელსაც ჰყავს ოჯახი, ნათესაობა, მეგობრები... იგი იბრძვის არსებობისათვის. იგი იძულებულია, იყაჩაღოს, რათა ოჯახი გამოკვებოს. იძულებულია, ჩაიდინოს დანაშაული, მეტიც – დაუკავშირდეს დამნაშავეთა სამყაროს. ამიტომ პოლიციაში შესაძლებელია ყველაფერი: ქურდის, ყაჩაღის, მკვლელის, მექრთამის, წვრილმანი ხულიგნის, მოკლედ, ნებისმიერი რანგის დამნაშავის გამოხსნა, პატიმრის გაპარება, უდანაშაულოთა შანტაჟირება... პოლიციაში შესაძლებელია ნებისმიერი სიმძიმის საქმის „ყიდვა“... 09. 04. 1994 წ. „პოლიცია და პოლიტიკა“

„...თანამედროვე ქართული პოლიცია არის ერთი დიდი ფულის საჭრელი საამქრო... ყველაზე მეტს შოულობს ის, ვინც ყველაზე ახლოს დგას ფულის საჭრელ დაზგასთან. ...დღევანდელი ქართული პოლიცია დარწმუნებულია, რომ ყველა სიკეთე, რაც კაცობრიობას შეუქმნია და რასაც მომავალში შექმნის, ეკუთვნის... პოლიციას“. 09. 03. 1999 წ. „მეშვიდე ვერსია“.

„... სპირტით სავსე კასრებით დატვირთული მანქანები ფოთიდან მიდიან პირდაპირ რომელიმე ფალსიფიცირებული ქართული არყის ჩამომსხმელ „ცეხში“, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. თუ საჭიროა, მიდიან სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. ამ საქმეში მთავარია მარიფათი – წესრიგის დამცველები უნდა გიცნობდნენ და გენდობოდნენ, ანუ უნდა იყო „წესიერი გადამხდელი“ და შეგეძლოს ენაზე კბილის დაჭერა. ასეთ „წესიერებს“, გაგიკვირდებათ და, ფოთიდან საქართველოს ნებისმიერ წერტილამდე თვით ყოვლისშემძლე ლეგიონერები მიაცილებენ. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ტვირთის უსაფრთხოებაზე, მოძრაობის სისწრაფესა და შარაგზის სხვა, შედარებით წვრილფეხა ყაჩაღების (მაგალითად, საგზაო პოლიციის) მოგერიებაზე... 23. 03. 2001 წ. „დაწერეთ ანდერძი და დალიეთ ძართული არაყი“.

„...პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო... არ არიან დაინტერესებული ქვეყანაში კანონიერების დამყარებით, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში მათ დაუყოვნებლივ შეუწყდებათ სუბსიდირება დამნაშავეთა სამყაროდან და თვეში ხუთი მილიონი კუპონის, ანუ 2,5 დოლარის ამარა დარჩებიან“. „08. 08. 2003 წ. „დამნაშავეთა ტყვეობაში...

საბოლოოდ, ვითარება ასეთია – ჟურნალისტისთვის, ვინც მრავალი წლის განმავლობაში ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ გაზეთებში მტკიცებულებათა მთების მოშველიებით დაუნდობლად აკრიტიკებდა და ლანძღავდა კიდეც მთლიანად ძალოვან სტრუქტურებს და კონკრეტულად მის ცალკეულ წარმომადგენლებს, მადლობა არავის უთქვამს, მაგრამ არავის არასოდეს უბატონოდ ხმა არ გაუცია; ორ უცნობ „მოღადავე“ მუსიკოსს კი იჭერენ, ნარკოტიკს „უდებენ“ და 15-წლიანი „სროკისთვის“ იმეტებენ საკმარისზე მეტად უნიჭოდ გადაღებული და ფეისბუქმეგობრებს შორის გავრცელებული ორწუთიანი მუსიკალური კლიპისთვის, სადაც უსახელგვარო პოლიციელი ძაღლთანაა შედარებული.

კი ბატონო, პოლიციაში, მთლიანად ძალოვან სისტემაში, შესაძლოა, მართლაც ბევრი იყოს უვიცი და „სამსახურისთვის შეუფერებელი“, მაგრამ არა მგონია, იყვნენ ისეთები, რომლებიც არაფრის გამო საკუთარი ინიციატივით შეყოფდნენ თავს გრდემლსა და უროს შორის. მსოფლიოს ყველა პოლიციელმა (როგორც ჩვენი ამერიკელი მეგობრები ბრძანებენ, კაცობრიობის ამ ყველაზე გარყვნილმა ნაწილმა) შესანიშნავად იცის, რომ თუ ჩიტი ბრდღვნად არ ღირს, მის დევნას აზრი არა აქვს. ამით იმის თქმა მინდა, რომ პოლიცია რეპერებს დააკავებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯიბეში მართლაც ჰქონდათ ნარკოტიკული ნივთიერება; ან პოლიციელებმა ზუსტად იცოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ არა ღატაკ მუსიკოსებთან, არამედ მდიდარი მშობლების გაზულუქებულ შვილებთან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არაოფიციალური მონაცემებით, პატარა საქართველოში 350 000-ზე მეტი ნარკომომხმარებელი და დაახლოებით ამდენივე „სტუკაჩია“, პოლიციას არჩევანის უზარმაზარი შესაძლებლობა აქვს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ პოლიციაში, ხელისუფლების სხვა შტოებში მოკალათებული ჯგუფები თვითონ ხელმძღვანელობენ ნარკობიზნესს და თუ ვინმეს იჭერენ, თავის გამოსაჩენად და ნარკოტიკებზე მაღალი საბაზრო ფასების შესარჩუნებლად.

ძალიან ძნელია იმ ვერსიის დაჯერება, რომ რეპერებმა პოპულარობის მოხვეჭის მიზნით პოლიციას „ჩადება-დაკავების“ სცენარი თვითონ შეუკვეთეს (არადა, რა გონებამახვილური სვლა იქნებოდა!).

არსებობს კიდევ ერთი ვარდისფერი ვერსია – სადღაც, ხელისუფლების ბნელ კულუარებში, არსებობს ინტელექტუალთა საიდუმლო ჯგუფი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს სულელური გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებს და მერე ფაქტებზე დაყრდნობით მოძველებული სისტემების, მიდგომების, საკანონმდებლო ბაზის შეცვლის ინიციატივით გამოდის. მოკლედ, ზუსტად ისე, როგორც ეს „რეპერების საქმის“ შემთხვევაში მოხდა.

თუ ასეა, წინ მართლაც ნათელი მომავალი გველის. ხოლო თუ ეს ანტიპოლიციური აურზაური მართლაც კაი ბიჭის, ბერა ივანიშვილის განცხადებას მოჰყვა და მეტი არაფერი, საძართველოში კიდევ დიდხანს არ გათენდება.

თეიმურაზ ძორიძე

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ნინო ხოფერიას

გაავებული მზე ხრავს სახურავს, —
— დგას ნავთის ბუღში, მღვრიე კვამლში
მთელი ქალაქი!
აღარ აყვავდა ბროწეული
მეზობლის ბაღში!
— როგორ ველოდი
მარჯნის წითლად აბრიალებას!..
აღარ მამშვიდებს,
აღარ მიყვარს ეს აივანიც,
და ველი წვიმას,
როგორც ყანა მზით გადამხმარი,
როგორც ხრიოკი, ნასოფლარი
მიტოვებული...
იქნებ შენც გახსოვს, ჩემო ნინო,
შენც ხომ გინახავს: —
— შუა მინდორში რომ გასკდება
უეცრად მეხი,
და ნაწვიმარზე
ჰაერი რომ გაკრიალდება!..
მე ის მინდორი მენატრება
და ის სურნელი,
მიწას რომ ასდის
ნაწვიმარი მიწის სურნელი!..
...კედლის ფარდაგზე
აქლემები ჩამწკრიგებულან!
— რაც თავი მახსოვს,
ასე მიდის ეს ქარავანი;
უდაბნოს ხვატში,
მოწკარუნე ხმა ისმის, მწყობრი —
— ზანზალაკები აღვიძებენ
მწვანე ვარსკვლავებს!
ცა იყო მარად
ბედუინის ღამის გზამკვლევი...
— რაც თავი მახსოვს,
ასე მიდის ეს ქარავანი...
ვიღაც კი ზის და
გიჟის ჟინით და მონდომებით
ითვლის და ითვლის,
ამ დედამიწამ
მზეს რამდენჯერ შემოუარა...
— ვინ, ვინ იქნება,
ის შეშლილი და უბედური,
ვინც ბოლო წრეზე დაუკივლებს
ცას, უსასრულოს: —
— „ჰოპლა, ჩვენც ვცოცხლობთ!“
— „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!?“
მაგრამ, მანამდე
დღემ ხვალეს უნდა აწოვოს ძუძუ!
უნდა უვლიდეს და იფარავდეს
ამ ღვთით კურთხეულ
და ქრისტეს კუნძულს!..
— „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!?“
ეს მრუში სანა,
შთამომავლობას
სხვას რას გადასცემს?!
მავანთ მძუვნება და მუცლის ფხანა
ერს სიბნელეში მიაბარბაცებს!..
ამ უნამუსო
მუნასიბების
ღნავილს მე აღარ ჩავენაცვლები!..
ვზი კრიალოსნით
მონა სიბერის
მწიფე უნაბის თლილი მარცვლებით!

რეზო ამაშუკელი

2017 წ. 30 ივნისი

რას ვიზამთ, როცა ქვეყანაში არსებობს ორი მარინე, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე!..

მივმართავ ჩემს ახლობლებს, მეგობრებს, ჩემი შემოქმედების პატივისმცემლებს!

„თავისუფალი ზონის“ საიტზე tzona.org გამოქვეყნდა ნაციონალური მოძრაობის წევრისა და მხარდამჭერის, ჩემივე მოსახელის ჯემალ სეფიაშვილის ფეისბუქ-სტატუსი — „რატომ მალავენ ივანიშვილის ავადმყოფობას?“

ეს წერილი, რომელიც საინფორმაციო სააგენტოებმა „აიტაცეს“ და ამ გზით გავრცელდა სოციალურ ქსელშიც, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა გაკვირვებით და ზოგმა წყენითაც ჩემს ნააზრევად აღიქვა. სწორედ ეს გაკვირვება და წყენა გახდა მიზეზი ჩემი საჯარო გამოხმაურებისა, თორემ ისე რა მრჯიდა — რამდენი ჯემალ სეფიაშვილი დაიბადება და საკუთარ ნააზრევს სახალხოდ გამოხატავს, სად ვდიო ყველა მათგანს?!

დიახ, სწორედ ეს გაკვირვება და წყენა გახდა მიზეზი ჩემი იძულებისა — განვაცხადო კატეგორიულად:

„ნაციონალების“ მხარდამჭერი მოქალაქის, ჩემივე მოსახელის ჯემალ სეფიაშვილის ფეისბუქ-სტატუსის შინაარსი არამხოლოდ მიუღებელია ჩემთვის, არამედ ის აშკარად ეწინააღმდეგება ჩემს დამოკიდებულებას, მათ შორის პირადსაც, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართაც!

კატეგორიულად ვემიჯნები „ნაციონალების“ მხარდამჭერი მოქალაქის, ჩემივე მოსახელის ჯემალ სეფიაშვილის წერილის შინაარსს და იუმორნარევი შენიშვნებით დაგამშვიდებთ: რას ვიზამთ, როცა ქვეყანაში არსებობს ორი მარინე, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე!..

მადლობა ღმერთს, მე მთელი ჩემი ცხოვრებითა და შემოქმედებით ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე ვდგავარ! ეს იცის საქართველომ და ეს იცით თითოეულმა თქვენგანმა!

სიყვარულით, ერთგულებით,
კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი.

◎ რაც გულს შემორჩა

ჭირისუფალიც და ლხინისუფალიც

გივი მარგველაშვილი — თხემით ტერფამდე თბილისელი

ამბობენ, წაქცეული ხე კარგად იზომებაო, მაგრამ გივი მარგველაშვილის სტილით გავაგრძელებ — რას გაზომავ, თუ არ გაიზარდა, გასაზომად და წაქცევის სინანულად რომ ღირხარ, ეგაა გულს რომ მტკენს და სინანულით მავსებს. ჩემი თაობის ბიჭებს შეხსენება არ სჭირდებათ, ვინ იყო გივი მარგველაშვილი, მაგრამ ახლა, როცა ამდენს დავობენ თბილისელობაზე, ქალაქელობაზე და მის სტატუსზე, უნდა ვთქვა, რომ გივი მარგველაშვილი იყო ასეთი კაცი, თხემით ტერფამდე თბილისელი — უღალატო, რაინდული თვისებებით, თავაზიანი, მჭევრმეტყველი, განათლებული, მეგობრობის განსაკუთრებული ნიჭიერებით დაჯილდოებული. ჭირისუფლობა და გვერდით დგომაც გამორჩეული იცოდა, მაგრამ ლხინისუფლობაში ისეთი ლაღი იყო — დღესასწაულების მოწყობის უსტაბაში, ისეთი „რაღაც-რუღაცები“ იცოდა, ისეთებს შეთხზავდა ექსპრომტად, რომ მერე ისტორიებად იქცეოდა ხოლმე და ქალაქში ანეკდოტებად ვრცელდებოდა. სადაც გივი იყო, იქ თამადობას ვინმე იოლად ვერ დათანხმდებოდა, უსმენდი და ელოდი, რაღაც თავისებურს აუცილებლად „ჩაატარებდა“ და გივიც ამ მოლოდინს არასოდეს გიცრუებდა. მისი იუმორი ნიაზ დიასამიძის, ვახტანგ ჭყოიძის, სევა ელიავას ხუმრობების სტილში იყო და გრძნობდი, ამ ქალაქში გრძელდებოდა ვითარებისეული იუმორის „გამომგონებლების“ თაობა.

გივი მარგველაშვილზე, ალბათ, ყველას თავის გასახსენებელი აქვს, მაგრამ მე ერთი უნდა მოვიგონო: რამდენიმე ძმაკაცი სუფრაზე სრულიად სერიოზულ თემაზე ვსაუბრობდით, გივიც იქვე იყო, ეტყობა, მობეზრდა ასე, მსმენელის როლში ყოფნა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და წამოიწყო — ტოო, ამას წინათ, ჩვენ ივა ბერაძეს (პროფესორი, ოფთალმოლოგი) ტიპისთვის თვალზე ოპერაცია გაუკეთებია, თქვენ წარმოიდგინეთ და კარგი შედეგით დასრულებულა (ცდილობს, ივას „წაეღადავოს“). პაციენტი მხტვარი ყოფილა, ამდგარა, დიიიიდი თვალი დაუხატავს, შიგ ივას პორტრეტი ჩაუსვამს და მადლიერების ნიშნად ივასთვის კაბინეტში მიურთმევია. ჰოდა, ამას წინათ გელასთან მივედი კლინიკაში, კედელზე აწერია — საქართველოს პროქტოლოგიური ცენტრი, მეორე აბრაზე აწერია — გელა მუხაშავრია და რას ვხედავ, იქვე მესამე აბრაც გაუკრავს გელას და მიუწერია — მხატვრებს ოპერაციას არ ვუკეთებო!!! ატყდა ხარხარი, გივი კი იჯდა და ისე გვიყურებდა, თითქოს გასაღიმებელიც არაფერი უთქვამს. მერე ეს ამბავი როგორც ბევრი სხვა, ქალაქს მოედო და უკვე სხვებიც ახმოვანებდნენ...

კიი, წაქცეული ხე კარგად იზომებაო, მაგრამ გივის ფასი და საზომი მაშინაც კარგად ვიცოდით, როცა ერთად ვიყავით და ერთმანეთს ვაძლიერებდით, ვხარობდით და შემოპარებულ სიბერეს თვალს ვარიდებდით... ახლა გივიზე სევდანარევი ღიმილით მოსაგონარს ვწერ, ღიმილი მასთან ერთად გატარებული დღეებისაა, სევდა კი მისი არყოფნისა... კმაყოფილებაც დასდევს ახლა ამ განცდას, კმაყოფილება იმისა, რომ გივი იყო კაცი, რომელიც ამ ქალაქს უხდებოდა, ამ ქალაქის ტყავში იცხოვრა და განგებამ მეც მასთან შემახვედრა!!! მე გივის ასე დავარქმევდი და ასე დავიმახსოვრებ — კაცი ჩემი თბილისის საკაცეთიდან!! დღევანდელ სევდას კი პასუხი ვახუშტი კოტეტიშვილის სტროფით უნდა გავცე :

„ბედნიერებას ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოვე მარცვალი,
სიკვდილი დედა ყოფილა, სიცოცხლე დედინაცვალი“.

გივი მარგველაშვილმა ამქვეყანაზე ღირსეულად იცხოვრა და მჯერა, ზეყანაშიც ასე იქნება!!!

გელა მუხაშავრია

პატიმარი ბათუმის მერობას აპირებს

ვაპირებ კენჭი ვიყარო ბათუმის მერის პოსტზე, — განაცხადა ბათუმის 11-12 მარტის მოვლენების ორგანიზებაში ბრალდებულმა მერაბ ღოღობერიძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე.

„პროკურატურას არა აქვს არანაირი მტკიცებულება ჩემ წინააღმდეგ. არ გავჩერდები და საპყრობილიდან გავაგრძელებ სამართლიანობისთვის ბრძოლას. თვითმმართველობის არჩევნებზე ვაპირებ კენჭი ვიყარო ბათუმის მერის პოსტზე“, — განაცხადა სხდომის დაწყებისთანავე მერაბ ღოღობერიძემ.

ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას საქმეზე გუშინ, მხარეები შესავალ სიტყვებს წარმოთქვამდნენ და პროკურატურის მოწმეების ჩვენებებს უმენდნენ.

პავლე შილაკაძე – ქართველი შემსრულებლები, უპირველესად, ქართული მუსიკის პოპულარიზატორები უნდა იყვნენ

ნოემრის სტუმარია საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, კომპოზიტორი და დირიჟორი, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეობის კანდიდატი, პროფესორი ᲨᲐᲕᲚᲔᲒ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ.

– ბატონო შავლეგ, თქვენ ვრცელი და წარმატებული შემოქმედებითი გზა განვლეთ, როგორც კომპოზიტორმა, შემსრულებელმა-ალტისტმა, დირიჟორმა და პედაგოგმა. თითოეულ იმ სფეროში, რომელშიც არაერთი ათწლეულია, მოღვაწეობთ, რას მიიჩნევდით გარდამტეხ ეტაპებად?

– ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო 2004 წელს მოპოვებული ორი სტიპენდია გერმანიაში. ერთი, ბრანდენბურგის მხარის მეცნიერების, კვლევისა და კულტურის სამინისტროსი, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, 4 თვე მემუშავა ვიპერსდორფის ხელოვანთა სახლში, ხოლო მეორე – DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური), რომლის დახმარებითაც 3 თვე ვიმუშავე დეტმოლდში. 90-იანი წლების საშინელებათა შემდეგ იქ, სიმშვიდესა და მყუდროებაში, საწერ მაგიდასთან ჯდომა და მუშაობა საოთხის ნეტარებას ნიშნავდა ჩემთვის. სწორედ იქ დავწერე მნიშვნელოვანი ნაწილი ჩემი მე-5 სიმფონიისა „ფსალმუნი“, აგრეთვე კონცერტი ორკესტრისათვის. გერმანიაში მუშაობის 7 თვე დიდი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის. ამას მოჰყვა ახალი ოპუსები – 4 ინსტრუმენტული კონცერტი, კანტატა „ლოცვა“ ილია მეორეს ლოცვის ტექსტზე, ორატორია „გალობანი სინანულისანი“, 4 სიმებიანი კვარტეტი, ტრიპტიქი სოპრანოსა და ფორტეპიანოსთვის გალაკტიონის ლექსებზე და სხვ.: გასული 10 წლის განმავლობაში ამ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა შესრულდა სამ საავტორო და სხვა კონცერტებში.

– შეგაწყვეტინებთ და აღვნიშნავ, რომ ქართველ მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა მონუმენტურმა, ღრმად ფილოსოფიურმა, კომპოზიციურად ურთულესმა ტილომ, დავითის ფსალმუნებზე დაწერილმა მე-5 სიმფონიამ – „ფსალმუნნი“, დიდი სიმფონიური ორკესტრის, გუნდისა და სოლისტისათვის. პირველად ქართულ მუსიკაში, ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ოთხ ენაზე დაწერილი ტექსტი: ლათინურად, ბერძნულად, ებრაულად, სოლისტის პარტია – ქართულად, რომლის გამთლიანება ერთ მუსიკალურ ქსოვილად, ცხადია, დიდ ოსტატობას მოითხოვდა. ნაწარმოები შესასრულებლადაც და ჩანაფიქრის გახსნის თვალსაზრისითაც ურთულესი იყო, მაგრამ თქვენი დირიჟორობით ნაწარმოებმა ბრწყინვალედ გაიჟღერა. ასევე გამოხმაურება მოჰყვა თქვენი კამერული მუსიკის საავტორო კონცერტს, განსაკუთრებით აღინიშნა Concerto Giocoso სამი საყვირისა და დასარტყამებისათვის, Concertino brevis – მუსიკა დასარტყამებისათვის და სხვ. ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენი სადირიჟორო მოღვაწეობა...

– ეს სფერო ჩემი საქმიანობის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მნიშვნელოვნად მიმაჩნია 1963 წელი, როდესაც გივი აზმაიფარაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი (მისი ერთ-ერთი დამფუძნებული მეც ვიყავი), სწორედ ამ ორკესტრში შედგა ჩემი სადირიჟორო დებიუტი. მოგვიანებით, 1973-74 წწ. კი ვიყავი ამ ორკესტრის დირიჟორი.

მნიშვნელოვანი იყო 1976-85წლები, როდესაც ვხელმძღვანელობდი ჩემს მიერ დაარსებულ ანსამბლს „თბილისის კამერატას“ (კამერული გუნდი, კამერული ორკესტრი, სოლისტთა ანსამბლი). ამ ანსამბლთან ერთად 300-ზე მეტი კონცერტი ჩავატარე საქართველოს და სსრკ-ის უდიდესი კულტურული ცენტრების პრესტიჟულ დარბაზებში.

ჩემს მიერ დაარსებული კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო“, 2018 წლის აპრილში მოღვაწეობის 30-წლიან იუბილეს იზეიმებს. ამ ორკესტრს ჩემთან ერთად ხელმძღვანელობს ჩემი ვაჟი გიორგი. „თბილისის კონცერტინომ“ 400-მდე კონცერტი ჩაატარა საქართველოსა და უცხოეთში (გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი). ორკესტრის რეპერტუარშია XVII-XXI სს. კამერული და კანტატა-ორატორიული ჟანრის მრავალი ნაწარმოები. საქართველოში პირველად შევასრულეთ ბახის „საშობაო ორატორია“, ჰენდელის „მესია“, შუტცის, ვივალდის, ჰაიდნის, მოცარტის, შუბერტის, მენდელსონის და სხვათა ნაწარმოებები.

რაც შეეხება ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ის თბილისის №1 სამუსიკო სასწავლებელში დაიწყო, შემდეგ კი 3 ათეული წელი თბილისის კონსერვატორიაში გაგრძელდა. ვხელმძღვანელობდი სასწავლებლის, კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრს, მიმყავდა კამერული ანსამბლის კლასი. კონსერვატორიაში წლების მანძილზე ვასწავლიდი კომპოზიტორებს, საგუნდო დირიჟორებს საორკესტრო დირიჟორობის საფუძვლებს (ჩემი სტუდენტები ამ კლასში სხვადასხვა დროს იყვნენ ზურაბ ნადარეიშვილი, ნინო ჯანჯღავა, მაკა ვირსალაძე, ეკა ჭაბაშვილი, ბორის შხიანი, ზვიად ბუცხრიკიძე, საოპერო-სიმფონიური მიმართულების მაგისტრანტები და ასისტენტი-სტაჟიორები – გიორგი შილაკაძე, ალექსი ტურიაშვილი, ლაშა კვეტენაძე, გიორგი აფრიამაშვილი, ზვიად ბოლქვაძე, მიხეილ ედიშერაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სხვ. ვკითხულობდი ლექციებს საკრავთმცოდნეობაში, გაორკესტრებაში, ვმუშაობდი საოპერო მომზადების კათედრაზე, დადგმული მაქვს სპექტაკლები და საოპერო ნაწყვეტები.

საინტერესო იყო ეგვიპტეში მუშაობის პერიოდი 1999-2002 წლებში. მიწვეული ვიყავი კაიროს კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრის ხელმძღვანელად, ჩავატარე მრავალი კონცერტი, მათ შორის, 5 კონცერტი გავმართეთ ესპანეთის ქალაქ მურსიაში, ახალგაზრდული ორკესტრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

– მინდა, შევჩერდეთ „თბილისის კონცერტინოზე“, რამეთუ იგი ნებისმიერი სხვა კოლექტივიდან გამოირჩევა იმით, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ მუსიკას. ჩვენ გვახსოვს ამ კოლექტივის მიერ გამართული ქართული მუსიკის არაერთი კონცერტი, პირველ ყოვლისა კი თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პრემიერები. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით შედგა სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების მრავალი პრემიერა: ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ გაბიჩვაძის, ნოდარ გაბუნიას, ნოდარ მამისაშვილის, ვაჟა აზარაშვილის, რამაზ ქარუხნიშვილის, ირაკლი გეჯაძის, ნოდარ გიგაურის, გერმან ჯაფარიძის, თენგიზ შავლოხაშვილის, მერაბ გაგნიძის, გოგა შავერზაშვილის, მაკა ვირსალაძის და სხვ. ეს დიდი იშვიათობაა.

– მიმაჩნია, რომ ქართველი შემსრულებლები უპირველესად, ქართული მუსიკის პოპულარიზატორები უნდა იყვნენ, „თბილისის კონცერტინოს“ და მისი დირიჟორის გიორგი შილაკაძის დიდი დამსახურებაა, რომ მან დააარსა „ქართული კამერული მუსიკის პანორამა“, რომელიც დროში განფენილი ფესტივალია და ემსახურება სწორედ ქართული მუსიკის პოპულარიზაციას. გიორგი შილაკაძის მიერ ჩატარებულ 8 კონცერტში შესრულდა ქართველი კომპოზიტორების 33 ნაწარმოები, მათგან – 20 პრემიერა.

– გასაკვირია, რომ ეს შეძელით. გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, ამას ხომ უზარმაზარი ენერგია, ორგანიზატორული ნიჭი და უნარი ესაჭიროება. კარგად ვიცით რომ ქართული თანამედროვე მუსიკის შესრულებისათვის და მისი პოპულარიზაციისათვის სახსრების მოძიება ძალზედ რთულია. სამწუხაროდ, ამ კუთხით არც სახელმწიფო პოლიტიკა არსებობს. როგორ ახერხებთ ორკესტრის შენარჩუნებას და უფრო მეტიც, ქართული მუსიკის კონცერტების სისტემატურ გამართვას?

– მართალს ბრძანებთ, იოლი არაა. ორკესტრი არსებობს უცხოური ფონდის მხარდაჭერით, რაც გვაძლევს არსებობის და საქმიანობის საშუალებას. მოგეხსენებათ, ეს ოფისი, სადაც ახლა ვიმყოფებით, უცხოელმა ინვესტორებმა გადმოგვცეს საკუთრებაში იმისთვის, რომ ორკესტრს ჰქონოდა მეცადინეობისა და რეპეტიციების ჩატარების საშუალება. გარდა ამისა, ყველა კონცერტი (მათ შორის, ქართული მუსიკის!) ამ ფონდის დახმარებით ტარდება. მომავალში ვგეგმავთ, განვავითაროთ ურთიერთობა ამ ფონდთან, ახალი პროექტები შევთავაზოთ და უფრო მეტიც, ვფიქრობ, არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი ფონდით და ქართული მუსიკის განვითარებისათვის სხვა ფონდებიც მოვიზიდოთ.

სწორედ თქვენს მიერ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად 2002 წელს დავაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისის მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა კავშირი „კამერატა“, რომელიც უკვე 15 წელია, არ წყვეტს მუშაობას, თუმცა ფინანსების ნაკლებობა არ გვაძლევს ყველა სასურველი პროექტის განხორციელების საშუალებას. დღესდღეობით „კამერატას“ ძირითადი საზრუნავი კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ ხელშეწყობაა, განსაკუთრებით 2006 წლიდან, როცა „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებას“, რომლის წევრიც ეს ორკესტრი იყო, მოუხსნეს დაფინანსება. ამ ორგანიზაციამ, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობდით, ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების გენერალური დირექტორის, ქალბატონ ციური გარუჩავას თაოსნობით და უდიდესი ძალისხმევით დაარსდა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ღია კონკურსი, რომელიც სხვადასხვა დისციპლინებში ტარდებოდა და მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსები. ჩატარდა რამდენიმე კონკურსი (2006 წლამდე, დაფინანსების შეწყვეტამდე). პირველივე კონკურსს ესწრებოდა ახალგაზრდული კონკურსების ევროპული ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი. მისი წარდგინებით, იმავე წელს, ხსენებული კონკურსი ევროპული ფედერაციის სრულუფლებიან წევრად მიიღეს (ერთადერთი ამიერკავკასიაში) კონკურსის მაღალი დონის და სტრუქტურის გამო. უნდა ითქვას, რომ ამ კონკურსში გამარჯვებულები და მონაწილეები დღეს სოლისტებად და წამყვან საორკესტრო მუსიკოსებად გვევლინებიან როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, მათ შორის, მომღერლები მიხეილ ქირია, ოთარ ჯორჯიკია და ანა ცარციძე, მევიოლინეები – ივანე ქობულაშვილი, ანა გოგისვანიძე, მარიკა მაღრაძე, მარიამ მაჩაიძე, პიანისტები – ნათია და თამარ ბერაიები, თათია შარანგია და სხვ. კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე მე გახლდით. მიმაჩნია, რომ ამ კონკურსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსების საშესრულებლო ხელოვნების განვითარების საქმეში. დასანანია, რომ ამ კონკურსის აქტივობა, ჯერჯერობით, შეჩერებულია.

– იქნებ უფრო ვრცლად მოგვიყვეთ „კამერატაზე“, რომელმაც, როგორც ვიცი, ბევრი სასიკეთო საქმის წამოწყება და განხორციელება შეძლო.

– რაც შეეხება „კამერატას“, ეს არის ის ორგანიზაცია, რომელმაც, სხვა არაერთ პროექტთან ერთად, 2014-16 წლებში ქართული მუსიკისთვის მეტად მნიშვნელოვან პროექტს – „ქართული კამერული მუსიკის პანორამას“ აღმოუჩინა დიდი მხარდაჭერა. ამ პროექტის წილობრივი დამფინანსებელი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყო. მიუხედავად სირთულეებისა, „კამერატა“ ზრუნავს საქმიანობის გაფართოებაზე. გარდა კამერული ორკესტრის მხარდაჭერისა, გვინდა, დავაარსოთ ქართული აკადემიური მუსიკის დაცვისა და განვითარების ფონდი, ვგეგმავთ, ჩამოვაყალიბოთ მუსიკალურ-სამეცნიერო რედაქცია-გამომცემლობა.

– ეს ძალიან კარგი და საჭირო იდეაა. მუსიკალური მეცნიერება, ისევე, როგორც მუსიკალური კრიტიკა და მუსიკალურ-საგამომცემლო საქმე, ნამდვილად საჭიროებს ხელშეწყობას. ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს მუსიკალური გამომცემლობა, არ არიან სათანადო რაოდენობის მომზადებული კადრები. თუ არსებობს ამისათვის რაიმე ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, რესურსები?

რა თქმა უნდა, დღეს შესაძლებლობები მწირია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის „მუსიკალურ ფონდში“ არსებული ნოტების ბეჭდვის საამქროს უნდა მიეცეს განვითარების შესაძლებლობა. მოსაზრებები ამ და სხვა პრობლემების შესახებ წინასაარჩევნო პროგრამით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ფონდს,

კომპოზიტორთა კავშირში მისი დაარსება დიდად შეუწყობს ხელს ქართული მუსიკის შემდგომ განვითარებას.

— დღეს ქართული საკომპოზიტორო სკოლა, ისევე, როგორც თითოეული ქართველი კომპოზიტორი, სერიოზული არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ ფინანსური პრობლემების წინაშეც დგას. ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვყვა თავის დროზე ისეთი მდიდარი და მძლავრი ორგანიზაცია, როგორიცაა კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი, რომელიც ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებას მნიშვნელოვანწილად წარმართავდა და განსაზღვრავდა კიდეც. სამწუხაროდ, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს ორგანიზაცია, მუსიკალურ-შემოქმედებითი პრობლემების მოგვარების პროცესში ამინდს ვერ ქმნის და ვერც ცვლის. როგორ ფიქრობთ, კომპოზიტორთა კავშირმა, ამ სახით, დაკარგა თავისი ფუნქცია და ამოწურა თავისი შესაძლებლობები თუ ხედავთ ახალ პერსპექტივებს და პოტენციალს?

— მიმაჩნია, რომ კომპოზიტორთა კავშირის მიზნების მისაღწევად, მის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა თვისებრივად გარდაიქმნას მუშაობის სტილი. აუცილებელია შემოქმედებითი, ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები, კავშირის წევრთა ჩართულობა, პრობლემების გააზრება, მოსაზრებათა შეჯერება და თანამშრომლობა საფუძველია წინსვლის და განვითარებისა. კომპოზიტორთა კავშირს საამისო რესურსი ნამდვილად აქვს, როგორც პიროვნული, ისე მატერიალური.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენთვის არაერთხელ შემოუთავაზებიათ, კენჭი გეყარათ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე, მაგრამ ყოველთვის უარზე იყავით. რამ გადაგაწყვეტინათ დღეს ასეთი ნაბიჯის გადადგმა?

— ეს თანამდებობა მე კარიერისთვის ნამდვილად არ მჭირდება. ერთადერთი, რამაც გადამაწყვეტინა, რომ წარმედგინა კანდიდატურა და მიმელო მონაწილეობა არჩევნებში, არის ის, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც არაერთ ათწლეულს მოიცავს, წაადგეს კომპოზიტორთა კავშირს და ახალი პერსპექტივები დაისახოს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ, ერთი ადამიანი ვერაფერს გააკეთებს, აუცილებელია თანამოაზრეები, რომლებიც, ვფიქრობ, რომ არიან და კიდევ გამოჩნდებიან. მხოლოდ მათთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი მიიღწევა, თუმცა ინიციატივა, რა თქმა უნდა, თავმჯდომარისაგან უნდა მოდიოდეს. ეს იმას არ ნიშნავს რომ გარედან მოსული იდეები უგულებელყოფილი იქნება, პირიქით, თავმჯდომარის ფუნქციაც ისაა, რომ ყველა სასიკეთო ინიციატივას მხარი დაუჭიროს და მისი რეალიზაციის შესაძლებლობები გამონახოს.

რაც მე წინასაარჩევნო თეზისებში მიწერია, ესაა მხოლოდ ნაწილი, რის გაკეთებასაც ვაპირებ და ამასთან, მაქვს კონკრეტული გზები ამ მიზნების განსახორციელებლად. ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაში ბოლო წინადადებაა — „მე ღია ვარ თანამშრომლობისათვის“. მე პირადად მივიღებ ნებისმიერი წევრის მოსაზრებას, გავიზიარებ, თუ საკამათო იქნება — ვიკამათებთ, მაგრამ — არ ვიჩხუბებთ. მე პატივს ვცემ კავშირის თითოეულ წევრს. საერთოდ, ყველა ადამიანი განუმეორებელია, შემოქმედებითი ადამიანი — ორმაგად განუმეორებელი. არ შეიძლება პატივი არ სცე მას, როგორც შემოქმედს. კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო — მე კარიერა არ მაინტერესებს, არ მჭირდება. მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე თამჯდომარის თანამდებობაზე ჩემი წარდგენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევქმნათ წინსვლის მყარი საფუძველი და მომავალ თაობებს დავუტოვოთ უკეთესი სამოღვაწეო ასპარეზი.

— გამარჯვებას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ ქართული მუსიკისათვის ამ მნიშვნელოვან და სასიკეთო წამოწყებებში. დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

ინტერვიუს უძღვებოდა
მზია ჯაფარიძე,
მუსიკისმცოდნე

ვითხოვთ ყურადღებას!

საკუთარი მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვის, პირველი რიგის გადასაწყვეტი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამდენად, ჩვენი აზრით, მისი შესრულების უზრუნველსაყოფად მიმართულ ნებისმიერ ძალისხმევას უდიდესი გულისყურით მიდგომა სჭირდება. სწორედ ეს გახლავთ რედაქციაში შემოსული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამამულო კონსტრუქციის მცირეგაბარიტიანი ტექნიკის ავტორის ვასილ ჩხიკვაძის ღია წერილის პათოსი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

წინა წლებში საკავშირო და რესპუბლიკის მთავრობების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და პირადად ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის მხარდაჭერით, ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში შევქმენი და საველე პირობებში გამოვცადე საკუთარი კონსტრუქციის ნიადაგის დამმუშავებელი მცირეგაბარიტიანი ტექნიკა, რომლის მონაცემები ბევრად აღემატება საზღვარგარეთის ფირმების მიერ წარმოებულ მოტობლოკებს.

ამის მტკიცების საფუძველს ის გარემოება მაძლევს, რომ უცხოურ ანალოგებთან შედარებით სამამულო ტექნიკას ნიადაგის მოხვნის, კულტივაციისა და სხვა სახეობის სამუშაოების შესრულებისას გაცილებით უკეთესი თვისებები აქვს.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მიწის ერთნაირ ფართობებზე აღნიშნული ტექნიკის გამოყენებისას, აგროწესების დაურღვევლად, სიმინდისა და კარტოფილის კულტურების მოსავლიანობის გაზრდა 25-30 პროცენტით, ხოლო ლობიოსა და სოიოსი 55 პროცენტზე მეტით შეიძლება. ვფიქრობ, ასევე დიდად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაახლოებით 2300-2400 ლარის ღირებულების იმპორტულ ანალოგებთან შედარებით, ჩვენი ტექნიკის ფასი 250-300 ლარით ნაკლებია.

ბატონო ბიძინა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ წლების წინ მიღწეულზე არ შევჩერებულვარ და ბოლო წლებში ნახსენები მოტობლოკის კონსტრუქცია იმ კონდიციამდე დავხვეწე, რომ მისი აწყობა-წარმოება, ფაქტობრივად, შეიძლება საქართველოს ყველა მხარეში. დარწმუნებული ვარ, რომ ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექნიკის ერთი ასეთი ერთეულის მოხმარება საზიაროდ 5-6 ოჯახს შეუძლია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მცირეგაბარიტიანი ტექნიკის ბევრი კვანძი და ნაწილი, კერძოდ, შიდა წვის ძრავები, ბორბლები, საჭირო კონფიგურაციის ლითონის პროფილები ჩვენში ბევრ ქალაქში იყიდება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თუკი ასეთი ტექნიკის გამოშვების პროექტს სათანადოდ დაუჭერთ მხარს და მიაქცევთ სათანადო ყურადღებას, ეს დიდად წაადგება ჩვენი სოფლის ფართო ფენების მოსახლეობას.

პატივისცემით, **ვასილ ჩხიკვაძე,**
სოფლის მეურნეობის დარგში ნიდერლანდის სამეფოს გრანტის მფლობელი, ნიადაგის დამმუშავებელი მცირეგაბარიტიანი სამამულო ტექნიკის ავტორი.

◎ ახლა თქმა ჯობს, არათქმასა!

წურბელობას მუშა ფუტკრის როლი ვამჯობინოთ!

მივესალმები საკონსტიტუციო ცვლილებების თვალსაზრისით ჩატარებული ურთულესი საქმიანობის წარმატებით დასრულებას,რასაც პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე დაესმება საბოლოო წერტილი.

მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე, რისი გაკეთებაც საჭირო და გამართლებული იყო, წარმატებით გაკეთდა, რაც უდავოა, სასიკეთოდ წაადგება ბევრ საქვეყნო საქმეს.

თქვენმა ოპონენტებმა, ანუ ე.წ. პოლიტიკოსებმა, რომელთაც ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ — „პოლიტიკას მიტმასნილი უვიცები“ უწოდა (გაზ.“საქართველოს რესპუბლიკა“, 06.06.2017), დროა, სათანადო დასკვნები გააკეთონ და ჩადგნენ ქვეყნის სამსახურში, ანუ წურბელის როლს მუშა ფუტკრის როლი ამჯობინონ. სამწუხაროდ, ეს, პირველ რიგში, ეხება ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ვინმე აბაშიშვილს, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რომ ხელისუფლებამ „მოატყუა ქართველი ხალხი, ვენეციის კომისია“ და ა.შ.

ღმერთმა ინებოს, ის დროც მალე დადგეს, როცა ქვეყანაში საერთოდ გაუქმდეს ე.წ. პროპორციული საარჩევნო სისტემა და ხალხს საშუალება მიეცეს, მომავალში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აირჩიონ ღირსეული პიროვნებები და არა ვიღაც-ვიღაცების მიერ დაფინანსებული ე.წ. პოლიტიკური პარტიების მიერ, ანგარებით შედგენილი „სიები“.

სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ქვეყანას საშველი იმ დღიდან დაადგება, როცა ნებისმიერ ე.წ. პოლიტიკურ პარტიას და გამოგონილ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუწყდებათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შეექმნებათ აბსოლუტურად თანაბარი პირობები, რაც განაპირობებს იმას, რომ ღირსეულმა, **უფულო** კანდიდატმა აჯობოს ულირს — **ფულიან** კანდიდატს.

ამ წინადადებების რეალიზაციის სქემა, ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, კარგა ხანია, დამუშავებული და გამოქვეყნებული გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით ჯერჯერობით, არც ერთი „ვაიპოლიტიკოსი“ არ დაინტერესებულა!

ანზორ ბაბუხადია,
რიგითი ამომრჩეველი

ნატა ნაზღაიძის ძმისთვის ქონების გადაცემის საქმეზე სასამართლო არ გაიმართება!

მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ძმისთვის ქონების გადაცემის საქმეზე სასამართლო წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსარჩელეების სევდია უგრეხელიძის, მამუკა ახვლედიანის, ხათუნა სამნიძის, ზაზა ვეკუას, შორენა ბუხრაშვილის, ალექსანდრე ელისაშვილის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ საქმის წარმოება შეწყვიტა სარჩელის დაუშვებლობის გამო.

მხარეთა შორის დავის საგანს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება წარმოადგენს.

სადავო განკარგულება ზვიად ნაზღაიძისთვის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას და მის საკომპენსაციოდ თანხისა და სხვა მიწების ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემას ეხებოდა.

სასამართლოს განმარტებით, სარჩელის დაუშვებლად მიჩნევა დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საკრებულოს 23.12.16 წლის №419 განკარგულების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა იყო დარღვეული“, — ნათქვამია განცხადებაში.

გეო ჰოლდინგი
გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:
ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811
geo-holding.net
სამუშაო საათები:
ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე
შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

მუქარები გახშირდა, თუბა ჩაბუქი დაცვას ითხოვს

დემირელის კოლეჯის დაკავებული მენეჯერის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეუღლე, თუბა ჩაბუქი სპეციალურ დაცვას ითხოვს და აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში სოციალური ქსელების მეშვეობით გამუდმებით იღებს მუქარის მესიჯებს ამ დრომდე დაუდგენელი პირებისგან.

თუბა ჩაბუქის თქმით, მას და მისი ოჯახის წევრებს საფრთხე ემუქრებათ, ამიტომ ოჯახის ადვოკატი შესაბამის სამსახურებს დაცვის გამოყოფის მოთხოვნით მიმართავს. შეგახსენებთ, რომ თუბა ჩაბუქის მეუღლე მუსტაფა ემრე ჩაბუქი საქართველოში თურქული მხარის მოთხოვნით დაახლოებით თვენახევრის წინ დააკავეს. ოფიციალური ანკარა მას ტერორიზმთან კავშირს ედავება. მუსტაფა ემრე ჩაბუქს საქართველოში წინასაექსტრადაციო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

საქართველოში გერმანიის ინტერპოლის მიერ 2006 წლიდან ძებნილი ისრაელის მოქალაქე დააკავეს

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს პირველი განყოფილების სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლი „ბათუმის აეროპორტის“ თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად ისრაელიდან საქართველოში შემოსვლისას, გერმანიის ინტერპოლის მიერ 2006 წლიდან ძებნილი, 1953 წელს დაბადებული ისრაელის მოქალაქე ე.ნ. დააკავეს.

დაკავებულს ბრალი ედება გერმანიის ნარკოტიკების შესახებ კანონის 1, 3 და 29 მუხლების დარღვევაში, რაც ითვალისწინებს დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-გასაღებას.

შსს-მ ე.წ. კანონიერი ქურდები დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1990 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი ხ.ხ., კანონიერი ქურდობის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ხ.ხ. 2014 წლიდან ე.წ. „ქურდულ სამყაროში“ აღიარებულია „კანონიერ ქურდად“. ბრალდებული 2014 წლიდან საბერძნეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. „ქურდულ გარჩევებში“. გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით).

ცნობისათვის, შსს-მ ე.წ. კანონიერი ქურდობის ბრალდებით, აეროპორტში, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ბ.ფ-ც დააკავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბ.ფ. 1999 წლიდან ე.წ. „ქურდულ სამყაროში“ აღიარებულია „კანონიერ ქურდად“. დაკავებული 2004 წლიდან რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. „ქურდულ გარჩევებში“. გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

სირიაში ასადის გამოსახულებით ახალი კუპიურა გამოუშვეს

2000 სირიული ფუნტის ბანკნოტის მიმოქცევაში ჩაშვება ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ იგეგმებოდა, თუმცა საომარი ვითარებისა და მაღალი ინფლაციის გამო გადაიდო. 2000-ფუნტიანი კუპიურა ბრუნვაში დღემდე არ ყოფილა.

პოლიციელმა ძალადობისგან გადარჩენილი ბავშვი იშვილა

ოკლაჰომას შტატის ქალაქ პოტოში პოლიციელმა 8 წლის ბიჭი იშვილა, რომელზეც მშობლები ფიზიკურად ძალადობდნენ და მუდმივად აშიმშილებდნენ. ცოლქმარს მეზობლებმა პოლიციაში უჩივლეს, რის შემდეგაც მათთან სამართალდამცველები მივიდნენ. პოლიციელ ჯოდი ტომპსონს სახლში შემზარავი სურათი დახვდა. ხელფეხ-შეკრული ბავშვი მან ნაგვის ყუთში იპოვა. ბავშვს სხეულის მრავლობითი დაზიანებები, სილურჯე და სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. ბავშვს დახმარება საავადმყოფოში აღმოუჩინეს. ამის შემდეგ ტომპსონმა და მისმა მეუღლემ ბავშვი იშვილეს.

თურქეთი ავიამზიდის გამოშვებას გეგმავს

თურქეთი ადგილობრივი წარმოების ავიამზიდის გამოშვებას გეგმავს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. „ჩვენ უკვე დავასრულეთ 14 მსხვილი პროექტი და კიდევ 10 პროექტზე ვმუშაობთ. უკვე გადაწყვეტილია, რომ სამამულო წარმოების ავიამზიდს ავაშენებთ. გემთმშენებლობაში თურქეთი მოწინავე პოზიციაზე უნდა იყოს“, — აღნიშნა ერდოღანმა.

საფრანგეთში მეჩეთიდან გამოსულ მუსლიმებს ცეცხლი გაუხსნეს

საფრანგეთის ქალაქ ავინიონში ორი შეიარაღებული პირი მანქანიდან გადმოვიდა და მეჩეთიდან გამოსულ მუსლიმებს ცეცხლი გაუხსნა. დაშავდა 8 ადამიანი, ერთი 7 წლის ბავშვია. ფრანგული მედიის ცნობით, თავდასხმა ორ ახალგაზრდას შორის პირადი დაპირისპირების შედეგია და გამოძიება ტერორიზმის მუხლით არ მიმდინარეობს.

17 მგზავრი ავტობუსში დაიწვა - ავტოკატასტროფა გერმანიაში

გერმანიის ქალაქ ბავარიაში სულ მცირე 17 ადამიანი გარდაიცვალა, მასშტაბური ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად . ტურისტული ავტობუსი სატვირთოს შეეჯახა, რის შედეგადაც ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა. პოლიციის ინფორმაციით, სალონში მძღოლთან ერთად 48 ადამიანი იმყოფებოდა .

ვაშინგტონში სამგზავრო მატარებელი რელსებიდან გადავიდა

ვაშინგტონში კომპანია Amtrak-ის მატარებელი რელსებიდან გადავიდა. CNN-ის ინფორმაციით, ინციდენტი ინუვერსიტი პლეისის სანაპიროზე გოლფის მოედნის სიახლოვეს მოხდა. მატარებლის ოთხ ვაგონში 267-მდე მგზავრი იმყოფებოდა.

აქტიური პროცესი ივლისში

გეოფიზიკური პროცესების გააქტიურება ივლისში მოსალოდნელია 6-9, 13, 16, 17, 20-26, 29 და 30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლოა ციკლონების ფორმირება, ყველა სახეობის ავარიულობის, ასევე სოციუმში დაძაბულობის წარმოშობა.

7 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. გამორიცხული არ არის ძვლებისა და სახსრების ტკივილები, განსაკუთრებით თეძოებისა და კუდუსუნის მხარეს. მოუფრთხილდით გაციებას, ნუ მიეძალებით სიმძიმეების თრევას, შეამცირეთ დატვირთვა სახსრებზე. სასარგებლო იქნება სუნთქვითი ვარჯიშები, ტანვარჯიში, მასაჟი, გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება. კარგი იქნება თუ მეტ დროს სუფთა ჰაერზე გაატარებთ, წახვალთ ეკლესიაში. რეკომენდებული არ არის გეგმების დალაგება და ახალი საქმეების წამოწყება.

9 — სავსემთვარეობა, თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება. დაძაბული მთვარეული ასპექტები. მოსალოდნელია ფიზიკური სისუსტე, დეპრესია, შრომისუნარიანობის დაქვეითება, უძილობა. ანთებითი პროცესების, რევმატიზმის, ართროზისა და ართრიტის გამძაფრება. სასურველია, თავი მოარიდოთ ფიზიკურ აქტივობას, გაციებას. თუკი არჩევანის საშუალება გაქვთ, გადადეთ ოპერაცია, კბილის ამოღება, ცუდი შედედების გამო ნუ ჩააბარებთ სისხლს. ხელსაყრელი დღეა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, დასვენებისა და გართობისთვის.

13 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. დიდია ალერგიული რეაქციების ალბათობა. აუცილებელია დიეტის დაცვა, უარის თქმა ცხიმიან და ცხარე საჭმელზე, სპირტიან სასმელებსა და ყავაზე, ნუ გადაღლით ფეხებს. შესაფერისი დროა საქველმოქმედო აქციებისთვის, ურთიერთობებისა და მოლაპარაკებების გასამართავად.

16 — მთვარის ბოლო მეოთხედი, დაძაბული მთვარეული ასპექტები. შესაძლოა თავის ტკივილები, ცუდი ძილი. გამორიცხული არ არის პრობლემების წარმოშობა. თავის ტვინის სისხლძარღვებთან, სამწვერა და სახის ნერვებთან დაკავშირებით. წელის ტკივილები შეიძლება თირკმლების დაავადებასთან იყოს დაკავშირებული. საჭიროა მოერიდოთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადაღლას, დაიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი თქვათ აღმგზნებ საშუალებებზე — ალკოჰოლზე, ყავასა და შოკოლადზე. შესაფერისი დღეა დასვენებისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისა და გართობისთვის.



20 — ტყუპების თანავარსკვლავედში მთვარისა და ვენერას შეერთება. მარსი ლომის ზოდიაქოს ნიშანში გადადის. დიდია ფილტვების, ბრონქების დაავადებათა წარმოშობა, ოსტეოქონდროზის გამძაფრება. მოერიდეთ გაციებას, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, გაუფრთხილდით გულს, გააკონტროლეთ არტერიული წნევა. შესაფერისი დროა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, მგზავრობისთვის, ურთიერთობებისთვის, მოლაპარაკებების გამართვისთვის, ასევე თეატრალურ წარმოდგენებზე დასასწრებად და გამოფენების სანახავად.

23 — ახალმთვარეობა, ლომის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება. დიდია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების საფრთხე. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს გულის სნეულებები — სტენოკარდია, არითმია, ტაქიკარდია და არტერიული წნევის აწევა-დაწევა. აუცილებელია ფიზიკური დატვირთვების შემცირება, სტრესებისთვის თავის არიდება. ეცადეთ, საჭირო წამალი მუდამ ხელთ იქონიოთ. არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, ალკოჰოლისა და ყავის მიძალება, თამბაქოს მოწევა. სასარგებლოა ჰაერის აბაზანების მიღება, გასეირნება და სრულფასოვანი ძილი. ეცადეთ, დღე გაატაროთ მშვიდ გარემოში, კონფლიქტებისა და დიდი დატვირთვების გარეშე.

25 — ლომის თანავარსკვლავედში მთვარისა და მერკურის შეერთება. დიდია გულის სისხლძარღვთა სისტემის აშლილობების, გულისწასვლების, პულსის აჩქარების, არითმიის წარმოშობის ალბათობა.. რეკომენდებულია სტრესებისთვის, უსიამოვნებებისთვის და დაპირისპირებებისთვის თავის არიდება, უარის თქმა დიდ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვებზე. სასარგებლოა გასეირნება, ჰაერის აბაზანები, სამკურნალო ფიზკულტურა. საჭესთან ყოფნისას საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა, ყურადღებით ყოფნა ტრანსპორტით შორეული მგზავრობების დროს.

29 — სასწორის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. დიდია თირკმლებისა და საშარდე სისტემების დაავადებების, წელის ტკივილის წარმოშობის ალბათობა. რეკომენდებულია ალკოჰოლის, ცხიმიანი და ცხარე საკვების, ასევე ტკბილეულის მიღებაზე უარის თქმა. საჭიროა დიეტის დაცვა, მოერიდეთ თირკმლებისა და შარდის ბუშტის გაციებას.

30 — მთვარის პირველი მეოთხედი. სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის თამაში. მოსალოდნელია ჭარბი აღგზნებადობა, გამღიზიანებლობა. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს, ცხიმიან და ცხარე საკვებს, ეცადეთ, არ აჰყვეთ ემოციებს.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის

ბრძანება № 720

„29“ ივნისი 2017 წ. ქ. თელავი

საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-14 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებულ, სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით (ს/კოდი №53.08.33.269, 2183 კვ.მ);
2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია დანართის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებლის პირველი მოადგილე,
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნაპირელი

დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	2183	53.08.33.269	1746	525	175	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა. შევსებული განაცხადი;
ბ. „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;
გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;
დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილეობაში მონაწილეობას სხვა პირის სახელით;
ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას,რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 03 ივლისიდან 2017 წლის 01 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 01 აგვისტოს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).
7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში,ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებლის პირველი მოადგილე,
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნაპირელი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის

ბრძანება № 719

„29“ ივნისი 2017 წ. ქ. თელავი

საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე დადგენილების 25-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებულ, სოფელ ფშაველში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით განკარგვაზე (ს/კოდი №53.16.37.285, 30 000 კვ.მ);
2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით, იჯარით გადაცემის შესახებ ინფორმაცია დანართის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებლის პირველი მოადგილე,
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნაპირელი

დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს უპირობო საჯარო აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი წლიური (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	30 000	53.16.37.285	1200	360	120	30

2. დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა თელავის მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე.
3. იჯარის ვადა განისაზღვროს 15 წლით.
4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე სარგებლობის უფლებით აღებული ქონების წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, გამარჯვებულს არ მიეცემა სარგებლობის უფლება, „ბე“-ს თანხა არ დაუბრუნდება და სხვა ხარჯები არ აუნაზღაურდება.
5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა. შევსებული განაცხადი;
ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;
გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;
დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას,რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
7. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების სარგებლობის უფლებით ასაღებად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 04 ივლისიდან 2017 წლის 02 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 02 აგვისტოს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).
9. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში,ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

◎ წინ, საქართველოვ!

არის ასეთი ნაკრებები!

ქართველ ფალავანთა ნაკრებისგან წარმატებები, აბა, რა გასაკვირია, მაგრამ დორტმუნდში დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ნაჩვენები გენიალური შედეგი მაინც სხვაა – გერმანულ ხალიჩაზე გასული რვავე „ჯვაროსანი“ სამშობლოში მედლით დაბრუნდა!

სოსო ჯაბიძის შეგირდთა ტრიუმფი შემდეგმა შემადგენლობამ გამოჭედა:

რამაზ სილაგავა (50), ლერი აბულაძე (60), ზვიად პატარიძე (120) – „ოქრო“, გიორგი კურტანიძე (66) – „ვერცხლი“, ნუგზარ წურწუმია (55), ბექა მამუკაშვილი (74), თემურ ჭკუასელიძე (84) და გიორგი ბარბაქაძე (96) – „ბრინჯაო“.

დავძენთ, რომ სილაგავას ნახევარფინალური შერკინება თურქ ქემალ მუთლუსთან ჭიდაობის გაერთიანებულმა მსოფლიოს ფედერაციამ პირველი დღის საუკეთესო ორთაბრძოლად აღიარა.

კობა კობახიძე

გოგოა თუ ბიჭია...

ძალა ერთობაშიაო, ტყუილად როდია ნათქვამი. ყოველ შემთხვევაში, კაუნასში გამართულმა კადეტ ძიუდოსიტთა ევროპირველობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართველი ვაჟკაცებიც და მანდილოსნებიც ტატამზე თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი – წყალში.

კერძოდ, ლიტვური ფორუმის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მიხეილ ბახბახაშვილი (66), ლაშა ბექაური (73) და სოფიო სომხიშვილი (+70) ავიდნენ, მეორე პრიზიორი მიხეილ ბექაური (90) გახდა, ხოლო „ბრინჯაო“ მძიმეწონოსან ლევან ჭელიძეს ხვდა წილად. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენებურები, ისევე როგორც ბიჭები – ცალკე, მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ, გოგონები კი მეოთხე პოზიციაზე გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა ბიჭებმა ბალტიისპირეთში შარშან მოპოვებული ტიტულიც შეინარჩუნეს და კონტინენტის გუნდური ჩემპიონატი მოიგეს. გიორგი ყიზილაშვილის შეგირდებმა ოლიმპისკენ მიმავალ გზაზე ბერძნებს, იტალიელებს, რუსებსა და უნგრელებს სძლიეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

რა დავაშავეთ, ნეტავ?!..

გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, ისე დაემართა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში კონტინენტური ფორუმის ერთ-ერთ ფავორიტ – პორტუგალიასთან მატჩით ჩაება.

გულშემატკივართათვის ცნობილი იყო, რომ გუნდის თავკაც გიორგი ყიფიანს ტურნირის სტარტამდე მოუხდა განაცხადში შეყვანილ ლუკა ქაფიანიძეზე, გიორგი ჯინჯოლავაზე, დავით კერესელიძეზე, ლუკა ფოჩხუაზე, ირაკლი ბუღრიძეზე და რატი არდაზიშვილზე უარის თქმა. თითქოს პრობლემები არ გვყოფნიდა, უკანასკნელ მომენტში პარტნიორებს დაცვის ბურჯი ლუკა ლოჩოშვილი გამოაკლდა, რომელსაც ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, ხოლო უშუალოდ გორში ლუზიტანიელებთან გამართული შეხვედრისას

ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ ლაზარეთს გიორგი კოხრეიძე და გიორგი ჩაკვეტაძე შეემატნენ.

დაგვეთანხმებით, ასეთი საკადრო ავადფსანდალი ნებისმიერ, თუნდაც ჩვენზე ძლიერ ანსამბლს ამოაგდებდა კალაპოტიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, მოვლენები პირიქით განვითარდა და რომ არა იტალიელი მსაჯის დავიდე მასას მიერ მასპინძელთა მიმართულებით განხორციელებული საკონტროლო გასროლა, ალბათ, მინიმუმ, ღირსეულ ბრძოლაში მოპოვებულ ქულასაც დავიმსახურებდით.

დიახ, სწორედ საკონტროლო გასროლით, რადგან სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის არარსებული პენალტი, რომლითაც აპენინელმა შაოსანმა 66-ე წუთზე გიორგი კუციას სახით მთელი საქართველო დასაჯა.

„ა“ ჯგუფი. საქართველო – პორტუგალია 0:1,

შვედეთი – ჩეხეთი 1:2.

ხვალ ითამაშებენ: საქართველო – შვედეთი. 17:30, „მიხეილ მესხი“; ჩეხეთი – პორტუგალია. 20:00, „დავით პეტრიაშვილი“.

კონფედერაციათა თასი. ფინალი.

გერმანია – ჩილე 1:0 (შტინდლი). ბუნდესნაკრები არგენტინის, დანიის, ბრაზილიის, მექსიკისა და საფრანგეთის შემდეგ მეექვსეა, ვინც რუსეთში დასრულებული ტურნირი მოიგო. საგაისო მუნდიალის გენერალური რეპეტიციის **საუკეთესო მოთამაშედ** გამარჯვებულთა კაპიტანი იულიან დრაქსლერი დაასახელეს.

მატჩი III ადგილისთვის. პორტუგალია – მექსიკა 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 1:1).

ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალი. გერმანია – ესპანეთი 1:0 (ვაიზერი). **ტურნირის საუკეთესო მოთამაშე:** დანი სებალიოსი (ესპანეთი).

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ესეც პირველი!

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წარმატებით გადალახა უიმბლდონის პირველი წინაღობა

გუშინ ATP-ის 51-ე ნომერმა სამ პარტიაში დაჯაბნა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-80 ადგილოსანი, არგენტინელი კარლოს ბერლოკი – 6:4, 7:6, 6:1 და მეორე წრეში ამერიკელ სემ კურეის შეხვდება, რომელიც ასევე სამ სეტში გაუსწორდა იტალიელ ტომაზო ფაბიანოს.

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

გამოცდაზე – ცისქვეშეთში

საქართველოს „ბ“ ნაკრებმა ორი გამარჯვებით დაიწყო ჩინური შეკრება, თანაც დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ორივე მატჩი ცისქვეშეთის ექვსგზის ჩემპიონს – „ბაის“ არმიელთა კლუბს მოუგო.

სასტარტო შეხვედრაში ბესო ლეჟავა, ნოდარ გოგოძე (15-15 ქულა), აკაკი დვალიშვილი (12 ქულა, 11 მოხსნა) და ლაშა გამყრელიძე (7 შედეგიანი გადაცემა) გამოირჩეოდნენ, ხოლო იმავე მეტოქესთან გამართულ საპასუხო ბრძოლაში (84:77) სტუმრებს ილია ლონდარიძემ (26 ქულა, 8 მოხსნა), აკაკი ლომოურმა (17 ქულა), აკაკი დვალიშვილმა (10 ქულა, 9 მოხსნა) და ლაშა გამყრელიძემ (10 შედეგიანი გადაცემა) ულიდერეს.

რაც შეეხება აზიური ტურნეს მესამე თამაშს, „ჯვაროსანთა“ უახლოეს რეზერვს სერიოზული გამომცდელი ჰყავდა იქაური ეროვნული ნაკრების სახით და ლოგიკურიცაა, სპონტანურად დაგეგმილ არაოფიციალურ პაექრობაში მასპინძლებმა რომ გაინავარდეს – 95:68.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

თილისმა ალბანეთსაც ჰყოლია

მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ანუ გაგანია ევროპაში წამოსკუპებული სახელმწიფოს – ალბანეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუსლიმია და მუსლიმურ შეზღუდვებს აღიარებს, ალბანეთში მაინც ბლომად დადიან ხელიხელსაგოგმანები ასულნი და არც სამოსის შემოძარცვაზე ითრევენ ფეხს. ერთ-ერთი ცნობილი ალბანელი მოდელი, მსახიობი და ზოგადად სამოსის სწრაფად შემომძარცველი – ანტონია დობი არ ჩამორჩა ევროპასა და მთელს მსოფლიოში ბოლო წლებში დამკვიდრებულ ერთგვარ მოდას და თავი ალბანეთის საფეხბურთო ნაკრების თილისმად გამოაცხადა. ანტონია დობი აქამდე ფეხბურთის სიყვარულში კი არა, სტადიონზეც კი არ იყო შემჩნეული, მაგრამ ცხადია ეს მას (ისევე როგორც სხვა მრავალ ცნობოლ მოდელს) არ უშლის ხელს, ფეხბურთის ფანატიკოსად რაცხოს თავი. ფეხბურთის სიყვარულისა რა გითხრათ და ანტონიას კაი ცხოვრება რომ ნაყვარება – ეს კი ნაღდია!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ქორწილია, ქორწილი...

მესი და როკუცო - მარად ერთად

კატალონიის „ბარსელონას“ ლიდერმა ლიონელ მესიმ და ანტონელა როკუცომ იქორწინეს. წყვილი წლებია, ერთად ცხოვრობს და უკვე 2 შვილიც ჰყავს – ტიაგო და მატეო, თუმცა, ბეჭდები აქამდე არ ჰქონიათ. საქორწილო ცერემონია არგენტინელი სუპერვარსკვლავის მშობლიურ ქალაქ როსარიოში მოეწყო და მას 260 სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ლეოს ამჟამინდელი და ყოფილი თანაგუნდელები. მიწვეულთა უსაფრთხოებას 300 სამართალდამცველი იცავდა.



გეჟან დოლიძე

სულიერება

წმიდათა დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილისა (744) და ლუარსაბისა (1622)

4 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველ მეფეებს არჩილს და ლუარსაბს.

...მეფე არჩილმა ხელი მიჰყო უსჯულოთაგან იავარქმნილი ქვეყნის აღორძინებას... ქუთაისში 12 წლის განმავლობაში იჯდა იგი, შემდეგ ქართლში გადმოვიდა, შემოიერთა კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. მურვან-ყრუსგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადებად სახსრად ქრისტეანეთათვის“. „უჯმობეს არს სიკვდილი ჩემი ვიდრეღა კუალად განრყუანად ეკლესიასა ქრისტეისათა და ოხრებად ქვეყნისა ამის“.

მეფე არჩილი ეახლა ჭიჭუმ ასიმს მშვიდობის სათხოვნელად, მან კი რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ქართველთა მეფე, შემდეგ კი მაცხოვნებელი სჯულის დატოვება და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა. პასუხად უარი რომ მიიღო, საპყრობილეში ჩასვა, და მისი მოკვდინება ბრძანა. ქართველმა აზნაურებმა წმინდანის ნეშტი ნოტკორაში, მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს.

ლუარსაბ მეფე ტახტზე 1606 წელს ავიდა. ამ დროს შაჰ-აბას I-მა თურქებს აღმოსავლეთ საქართველო წაართვა. გაბრაზებულმა თურქებმა ყირიმელ თათრებთან ერთად გადამწყვეტი ლაშქრობა მოაწყვეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბი ამ დროს ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირეოდენი ამალით და ალბათ ვერაფრით გადაურჩებოდა მტრის უეცარ დარტყმას, მაგრამ **კველთელმა მღვდელმა თევდორემ,** რომელსაც უსჯულოებმა მეფის სამყოფელისაკენ უმოკლესი გზის ჩვენება დაავალეს, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით ატარა ისინი... ამასობაში მეფემ შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი.

გავიდა ხანი, შემდგომმა მოვლენებმა მტრობა ჩამოაგდო მეფე ლუარსაბსა და გიორგი სააკაძეს შორის... ერთხელ დიდმარხვის დროს შაჰის ნადიმზე ლუარსაბმა შემოთავაზებული თევზი არ ჭამა, დღეს თევზით გინდა გავტეხო მარხვა, ხვალ ხორცს შემომთავაზებ, შემდეგ კი ქრისტეს უარყოფასაც მომთხოვო – გააჟღავნა მან შაჰის დაფარული გულის ზრახვა. სიბრაზისგან გაცოფებულმა შაჰმა პირდაპირ ქრისტეს უარყოფა და ალაჰის აღიარება უბრძანა მეფეს. ლუარსაბმა ქრისტე არ უარყო და პასუხად ის მოაშთვეს...

წმიდა არჩილის და ლუარსაბის ღვაწლს ათასი წელი აშორებს, მაგრამ ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს დააწესა.

გიული ლიპარტია

ქუჩის დამნაგვიანებელთაგან ნახევარი უცხოეთის მოქალაქეა

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითმა ინსპექტორებმა ორი თვის განმავლობაში გარემოს დაბინძურებისთვის 776 საჯარიმო ოქმი შეადგინეს, საერთო თანხით – 83 510 ლარი. 776 სამართალდამრღვევი პირიდან 310 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა სახის ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის დაჯარიმებულია 745 ფიზიკური და 31 იურიდიული პირი.

„თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები დედაქალაქის ქუჩებში 3 აპრილიდან გამოჩნდნენ. პირველი ორი კვირის განმავლობაში მათ გამოჩენას ინფორმაციული სახე ჰქონდა, ხოლო „ნარჩენების მართვის კოდექსის“შესაბამისად, მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქვეითმა ინსპექტორებმა საჯარიმო ოქმების შედგენა 20 აპრილიდან დაიწყეს.

გარემოს დანაგვიანება ისჯება კანონით. კერძოდ, 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – 80 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 100 ლარით.

2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – 150 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 500 ლარით. ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება – 50 ლარით (პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მეპატრონეს, თუ იგი დაუყოვნებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას). ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 150 ლარით. ხუთი ერთეული ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 500 ლარით.

მათივე ინფორმაციით, სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ ითვალისწინებს ფიზიკური პირის 400 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 1000 ლარით დაჯარიმებას.

„კომერსანტი“

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი მშენებლობის უფლებით. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

სანთელი

გულნაზ, ნოდარ ემუხვარები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ექიმი-კარდიოლოგის, 30 წლის განმავლობაში თსს უნივერსიტეტის ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკის კარდიოლოგიური განყოფილების გამგის, შესანიშნავი პიროვნებისა და კლინიცისტის, უახლოესი მეგობრის

მედეა ცინცაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და კლინიკის თანამშრომლებს.

თეიმურაზ გორდელაძე

მისთვის თავისუფლად შეგვეძლო, გაჭირვების ტალკვესი ან მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე გვეწოდებინა, მაგრამ ჩვენ მაინც ადამიან-მალამოს ვანიჭებთ უპირატესობას.

დიახ, 1928 წლის 12 აგვისტოს, დიდგორობა დღეს დაბადებულ საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის სამეცნიერო აკადემიისა და სასამართლო ექიმთა ასოციაციის წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თეიმურაზ დიმიტრის ძე გორდელაძეს** ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში რეგალიები არ დაჰკლებია, თუმცა, უმთავრესად სწორედ ის უნარი მიგვაჩნია, რასაც საქმითა და ენით შვების სახით ანიჭებდა ამა თუ იმ სირთულის წინაშე პირისპირ დარჩენილ მოყვასსა თუ სრულიად უცნობ თანამემამულეს.

თეთრხალათიანთა დინასტიის მესაძირკვლეს, მრავალრიცხოვან მოკეთეებთან და მისგან ნაამაგარ საზოგადოებასთან ერთად, დიდი გულისტკივილით ეთხოვება ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულ უმცროს მადლიერ კოლეგათა მთელი კოჰორტა, რომლის პროფესიულ სრულყოფასაც „სამედიცინოს“ აუდიტორიებში ათწლეულები შეალია.

ნათელი და სანთელი, ბატონო თემო!

გია პლატონიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

თეიმურაზ გორდელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თემურ ჯორბენაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი

თეიმურაზ გორდელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ინსტიტუტის ყოფილი განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როლანდ სარჩიმელია

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის თანამშრომელ ირაკლი მებონიას მამის

მერაბ მებონიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იზიარებენ აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ დემურ კეკელიას მწუხარებას დედის

ცისალა რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ივიკო საძვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, ევროპისა და ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრს, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ბონდო ქოგულიას

ყველაზე „ძლიერი პასპორტები“

კვლევითმა ორგანიზაციამ ACT Globalm-მა, passportindex.org-ზე დაყრდნობით, პასპორტების რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგში წარმოდგენილია იმ ქვეყნების პასპორტები, რომლის მფლობელებსაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უვიზოდ შეუძლიათ წასვლა.

passportindex.org-ის მიხედვით, გერმანიისა და სინგაპურის პასპორტი ყველაზე ძლიერია. ამ ორ სახელმწიფოს ყველაზე მეტ ქვეყანასთან აქვს უვიზო მიმოსვლა ან ჩასვლის დროს ადგილზევეა შესაძლებელი ვიზის აღება. ჯამში, გერმანელებსა და სინგაპურელებს 159 ქვეყანაში შეუძლიათ უვიზოდ მიმოსვლა.

მეორე ადგილზეა შვედეთი და სამხრეთ კორეა. შვედებსა და სამხრეთკორეელებს 158 ქვეყანაში აქვთ უვიზო/ადგილობრივი ვიზით მიმოსვლის შესაძლებლობა.

რანგით მესამე ქვეყნებში შედის აშშ და დიდი ბრიტანეთი, რომელთა მოქალაქეებსაც 157 ქვეყნის მიმართულებით უვიზოდ შეუძლიათ მიმოსვლა.

რუსეთი მე-40 ადგილზეა, რომელთა მოქალაქეებსაც 106 ქვეყანაში აქვთ უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა.

თურქეთი რეიტინგში 41-ე ადგილს იკავებს. თურქეთის პასპორტის მქონე მოსახლეობას მსოფლიო 105 ქვეყანაში შეუძლიათ უვიზო მიმოსვლა.

საქართველო სიაში 43-ე ადგილს იკავებს. 103 ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზა ან არ არის საჭირო, ან ადგილზევე გაიცემა.

აზერბაიჯანი ამავე სიაში 64-ე ადგილზეა. აზერბაიჯანელებს უვიზოდ 63 ქვეყანაში შეუძლიათ წასვლა.

რეიტინგში ბოლო ადგილს ავღანეთი იკავებს. ავღანელებს მხოლოდ 23 ქვეყანაში აქვთ უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმი 2017 წლის 28 მარტს ამოქმედდა. საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში უვიზოდ მიმოსვლა 180 დღიდან 90 დღის განმავლობაში შეუძლიათ.

ყველაზე მოკლე საზღვარი

85 მეტრი – ესაა ხმელეთის ზოლის სიგრძე, რომელიც მაროკოს ტერიტორიას ესპანეთის ანკლავ პენიონ-დე-ველეს-დე-ლა-ჰომერასგან გამოყოფს.

ესაა მსოფლიოში ყველაზე მოკლე სახმელეთო საზღვარი. ესპანეთის კუნძულსა და მაროკოს ნაპირს შორის ქვიშის მეჩეთი 1934 წელს ძლიერი ქარიშხლის შემდეგ წარმოიშვა.

ჯერ კარგი უფროსი რა არის...



თანამშრომელთა ჯანმრთელობა უფროსის სამართლიანობაზეა დამოკიდებული, მიაჩნიათ აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის მეცნიერებს.

სპეციალისტებმა რამდენიმე დიდი კომპანიის თანამშრომელთა ყველა მონაცემი შეისწავლეს – მათი ხელფასისა და პრემიების ოდენობა, ჯილდოები, წახალისებები, აგრეთვე ჯარიმები, სანქციები, საყვედურები. აღმოჩნდა, რომ იმ პირებს, ვისაც სამსახურში აფასებენ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაცილებით ნაკლები პრობლემები აქვთ იმათთან შედარებით, ვისაც გამუდმებით ავიწროებდნენ.

ის თანამშრომლები, ვისაც სამართლიანად და სათანადო პატივისცემით ეპყრობიან, გაცილებით იშვიათად ავადმყოფობენ და თავიანთ მოვალეობებს მეტი პასუხისმგებლობით ასრულებენ. ისინი კი, ვისაც გამუდმებით ავიწროებენ, უფრო ხშირად და ხანგრძლივად ავადმყოფობენ, რადგან მათი ორგანიზმი სტრესებისგანაა გამოფიტული, რის გამო ვირუსებისა და ბაქტერიების შემოტევისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაქვეითებული აქვს.

ლომის ცეკვა

ბოროტი ძალებისგან დაცვა ან ფინანსური წარმატების მოტანა შეუძლიათ... ლომებს, მიაჩნიათ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში.

ჩინეთი. ლომები ჩინეთში არ ბინადრობენ, მაგრამ რიტუალურ ცეკვას, რომელშიც ეს ცხოველი მთავარ როლს ასრულებს, იქ ორ ათასზე მეტი ხნის მანძილზე ასრულებენ. ჩინელები დარწუნებულები არიან, რომ ლომები ავ სულებს განდევნიან, თან იღბალი და კეთილდღეობაც მოაქვთ. ამიტომაც ცეკვას არა მხოლოდ საახალწლოდ, არამედ სხვადასხვა ბიზნესღონისძიებებზეც ასრულებენ (მაგალითად, მაღაზიის გახსნისას, ან ფირმის პრეზენტაციის დროს).

ინდონეზია. ცეკვა-მისტერია ეძღვნება ლომისთავა მითიური ცხოველის ბარონგის ბრძოლას ბოროტების ძალებთან, რომელთა ხელმწიფეა დედოფალი-დემონი რანგდა. მითიური ცხოველის ტანს ორი მოცეკვავე მართავს. მისტერიის დასასრულ ავ სულებზე, სნეულებებსა და უბედურებებზე ბარონგი იმარჯვებს.

სენეგალი. მაისში, წვიმების სეზონის დადგომასთან ერთად, ქუჩებში „ლომები“ გამოჩნდებიან ხოლმე – ესენია მოცეკვავეები მოხატული სახეებით. სიმბის დღესასწაულის საფუძველი ცარიელა ხელით ლომის მომრევი კაცის შესახებ ლეგენდაა. მოკლული ცხოველის სული კი გამარჯვებულის სხეულში გადასახლდა. სიმბას დროს მოცეკვავეები მაყურებლებს „დასცინიან“. ისინი ვიღაცას თავში ქვიშას უზელენ, ვიღაცას წყლით წუწავენ, მათგან თავის დახსნა კი მხოლოდ ცეკვით შეიძლება.

სამყარო ჩვენს შიგნით

ადამიანის მიკრობიომი – ესაა ორგანიზმში მობინადრე მიკრობთა ერთობა, რომლებზეც დიდ ზეგავლენას ახდენს 60 სახეობის კვების პროდუქტი და დიეტის ტიპი.

ჰოლანდიელ და რუს მეცნიერთა კვლევებით დადგინდა, რომ ბოსტნეულის, ხილისა და რძის მჟავე ნაწარმის მომხმარებელთა მიკრობიომები გაცილებით მრავალფეროვანია და ბაქტერიების შტამების გაცილებით მეტ ოდენობას შეიცავს იმათთან შედარებით, ვიდრე ხორცი შეიცავს.

გარდა ამისა, მეცნიერებმა ისიც გამოარკვიეს, რომ ადამიანის „შიდა ეკოსისტემაზე“ საკმაოდ ზემოქმედებენ არა მარტო ანტიბიოტიკები და კუჭის მჟავიანობის დამწყები პრეპარატები, არამედ ანტიდეპრესანტებიც, ასევე გულის უკმარისობისა და ისტორიული წნევის დამწევი წამლებიც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

ოფიციალური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4036; ევრო - 2.7408;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1170;
100 რუბლი - 4.0581; თურქული ლირა - 0.6831;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4216;
1000 სომხური დრამი - 5.0012.

ამინდი 4 ივლისისთვის
ალმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19 დღე +40
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +37
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +25, დღე +39
მთიანი რაიონები - ღამე +20 დღე +39
თბილისი: ღამე +22, დღე +39

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge